გაზეთი ზევრისა, „ვერსიისა" ერთი

# ვერსია

№114 (870) 1 - 3 ნოემბერი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

**მხოლოდ 40 თეთრი**



## რაში დახარჯა მიხეილ სააკაშვილმა 10 მილიონი ლარი

გვ. 6

**პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გაწეული ხარჯის სრული სია**

## ახალი სამიზნე – ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები

რას აპირებენ საპრეზიდენტო არჩევნებში დამარცხებული კანდიდატები და გაერთიანებიან თუ არა გაზაფხულზე ოპოზიციური პარტიები

გვ. 4

## ელენე თევდორაძისა და ბაჩო ახალაიას საუბრის სკანდალური დეტალები

შეწყალების კომისიის თავმჯდომარე ციხეში ძალადობის პოლიტიკის შემოღებაში ლევან რამიშვილს ადანაშაულებს



გვ. 3

## რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს სტომატოლოგიური კაბინეტი



გვ. 7

## სტომატოლოგიაში რეგულაციები მკაცრდება — გაძვირდება თუ არა დანტისტთან ვიზიტი

## ირაკლი ღარიბაშვილმა დავით დემურიას ოჯახს ახალი ბინა გადასცა



შინაგან საქმეთა მინისტრმა სამეგრელოს სოფელ ხორგაში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპულ შს თანამშრომლის, დავით დემურიას ოჯახს ბინა თბილისში, კერძოდ, ვაზისუბანში გადასცა. გარდაცვლილი პოლიციელის შვილის, 8 წლის ნიკოლოზის სპორტულ აკადემიაში სწავლას, ამიერიდან, სამინისტრო დააფინანსებს. დავით დემურიას ქვრივი კი შსს-ს სისტემაში დასაქმდება.

ამასთან, ირაკლი ღარიბაშვილმა პოლიციის თანამშრომელს მამუკა კობახიძეს ბათუმში, გამსახურდიას ქუჩაზე ახალი ბინა გადასცა. ბათუმის საქალაქო სამმართველოს მეორე განყოფილების ინსპექტორ-გამომძიებელ მამუკა კობახიძეს, 21 სექტემბერს სახლი დაეწვა, ცეცხლმოკიდებული სახლიდან პოლიციელმა მხოლოდ ტაბელური იარაღისა და შსს-ს თანამშრომლის მოწმობა გამოიტანა. კობახიძე მეუღლესა და სამ შვილთან ერთად უსახლკაროდ დარჩა.

*„პირველი“*

## აშშ-ს საელჩო გელათის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის რეაბილიტაციას დააფინანსებს



ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო გელათის სამონასტრო კომპლექსის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის არქიტექტურული რეაბილიტაციის პროექტს წარადგენს. საელჩოს ცნობით, პროექტი „შეერთებული შტატების ელჩის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პროგრამით“ დაფინანსდება.

რეაბილიტაციისთვის 600 000 დოლარი გამოიყოფა. პროექტს საქართველოს ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი სამხატვრო აკადემიის რესტავრაციის ფაკულტეტთან თანამშრომლობით განახორციელებს.

1995 წელს დაფუძნებული ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი, კულტურის სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციაა. 2001 წლიდან დღემდე შეერთებული შტატების საელჩომ ქართული კულტურის რეაბილიტაციის, დაცვისა და წარმოჩენისთვის თითქმის ერთი მილიონი დოლარი გაიღო.

*„ინტერპრესნიუსი“*

## „სამხედრო ვალდებულებებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონში“ ცვლილებები შედის



ინიციატივის ავტორები საქართველოს პარლამენტის წევრები, დიმიტრი ხუნდაძე და მირიან წიკლაური არიან. ცვლილების თანახმად, სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადება შეეხება უმაღლესი სამედიცინო განათლების დიპლომის შემდგომი საფეხურის რეზიდენტს ან/და რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომის შემდგომი განათლების საფეხურზე მყოფ პირს, რომელიც სარეზიდენტო პროგრამის დადგენილ ვადაში გადის პროფესიულ მზადებას ერთ-ერთ საექიმო სპეციალობაში-სარეზიდენტო პროგრამის დამთავრებამდე. კანონპროექტის ავტორთა განმარტებით, აღნიშნული ინიციატივის მიზანია ქვეყანაში აკადემიური სამედიცინო, სტომატოლოგიური უმაღლესი განათლების საფეხურების გავლის ხელშეწყობა და ეფექტიანი უმაღლესი სამედიცინო განათლების დიპლომისშემდგომი საფეხურის გავლისთვის ხელმისაწვდომი პირობების შექმნა.

*„პირველი“*



## კობა სუბელიანს დაიჭერენ?

მთავარ პროკურატურაში აცხადებენ, რომ აგვისტოს ომის შედეგად დევნილთა სახლებსა და დახმარებებთან დაკავშირებით, პროკურატურაში გამოძიება მიმდინარეობს და მას გორის პროკურატურა აწარმოებს.

შესაძლებელია თუ არა, აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცეს კობა სუბელიანი, რომელიც მაშინ დევნილთა და განსახლების მინისტრი იყო, ამას პროკურატურაში არ აკონკრეტებენ.

**„აღნიშნულთან დაკავშირებით ვერაფერს გეტყვით. ვიდრე კობა სუბელიანი კონკრეტული დანაშაულის გამო ბრალდებული არ გახდება და პასუხისგებაში არ მიეცემა, ჩვენი მხრიდან ამაზე საუბარი უდანაშაულობის პრეზუმციის დარღვევა იქნება. 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად დევნილთა თავშესაფრებისა და დახმარებებთან დაკავშირებით გორში გამოძიება ნამდვილად მიმდინარეობს“,** — აცხადებს პროკურატურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი ხათუნა პაიჭაძე.

პროკურატურაში ასევე არ აკონკრეტებენ, დაიკითხა თუ არა აღნიშნულ საქმეზე კობა სუბელიანი: **„ვერაფერს გეტყვით — ეს საქმე, შემდეგ განსახილველად ნაფიცმსაჯულთა სასამართლოს უნდა გადაეცეს, ამიტომ გამოძიების დასრულებამდე, დეტალების გახმაურება არ შემიძლია“.**

*„პირველი“*

## ისრაელთან სავიზო რეჟიმი უქმდება



საგარეო საქმეთა მინისტრის, მაია ფანჯიკიძის განმარტებით, ორ ქვეყანას შორის თავისუფალი სავიზო რეჟიმის შემოღებაზე ჯერ კიდევ მიმდინარე წლის ივნისში საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ისრაელის პრემიერთან შეხვედრაზე ისაუბრა: „ეს იყო ერთ-ერთი საკითხი, რომელიც ბიძინა ივანიშვილისა და ბენიამინ მეთანიაჰუს შორის გამართულ შეხვედრაზე განიხილეს. დღეს უკვე ისრაელის მხრიდან ამას გამოხმაურება მოყვა. ჩვენ ისრაელთან სავიზო რეჟიმი ცალმხრივად გაუქმებული გვქონდა. ახლა უკვე ისრაელის სახელმწიფო გამოთქვამს მზადყოფნას, ოღონდ ეს არ ნიშნავს, რომ საქართველოს მოქალაქეებს ისრაელში უვიზოდ წასვლა ხვალიდანვე შეეძლებათ. ჯერ წარიმართება მოლაპარაკება და პირველი ნაბიჯი ამ გზაზე უკვე გადადგმულია. მალევე შევა ძალაში დიპლომატიური პასპორტების უვიზო მიმოსვლა, შემდეგ კი დაიწყება მოლაპარაკება, რომ ამ რეჟიმით ჩვეულებრივი პასპორტების მფლობელებმაც ისარგებლონ. ეს რამდენიმეთვიანი პროცესია. მოლაპარაკებებს ვიწყებთ და მოქალაქეებს რამდენიმე თვეში ისრაელში უვიზოდ წასვლის შესაძლებლობა მიეცემათ. რაც შეეხება დიპლომატიური პასპორტის მფლობელებს, შეთანხმება უკვე ხელმოწერილია და ძალაში ალბათ, ერთ კვირაში შევა. ეს ჩემმა კოლეგამ დამიდასტურა“.

საგარეო საქმეთა მინისტრმა ისრაელში წასვლის მსურველებს მოუწოდა, საგარეო უწყების ვებგვერდს თვალყური ადევნონ, სადაც აღნიშნულ საკითხზე ინფორმაცია განთავსდება.

*„პირველი“*



## დავით კეზერაშვილი პატიმრობაში რჩება

დავით კეზერაშვილი საფრანგეთის სასამართლომ პატიმრობაში დატოვა. პროცესი 31 ოქტომბერს გაიმართა.

საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით კეზერაშვილი საფრანგეთში 14 ოქტომბერს დააკავეს — მის წინააღმდეგ, სისხლის სამართლის ორი საქმეა აღძრული, თბილისის საქალაქო სასამართლოში კი საქმეები განხილვის პროცესშია.

დავით კეზერაშვილს პროკურატურა ორ ეპიზოდში ედავება — ე.წ. სპირტის კონტრაბანდის და ტელეკომპანია „იმედის“ გასხვისების საქმეებზე, სადაც კეზერაშვილი დედაქალაქის მერთან, გიგი უგულავასთან ერთადაა ბრალდებული. ამასთან, „იმედის“ გასხვისების საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლომ დავით კეზერაშვილს პატიმრობა დაუსწრებლად შეუფარდა.

*„ინტერპრესნიუსი“*

## უცხოური ენის გამოცდას მოსმენის ნაწილი დაემატება



შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის, მაია მიმინოშვილის ინფორმაციით, უცხო ენის გამოცდაში მოსმენის ნაწილი ძალიან მნიშვნელოვანია და ამიტომ შეუძლებელია, ეს ცვლილება არ განხორციელებულიყო. გარდა ამისა, 2014 წლიდან აბიტურიენტებს საშუალება ექნებათ, არჩევით საგნად სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება ჩააბარონ: „ერთიან ეროვნულ გამოცდებზე უცხო ენაში ოთხი მნიშვნელოვანი კომპონენტიდან მხოლოდ ორს ვამოწმებდით. ეს იყო წერა და კითხვა, ხოლო რაც შეეხება საუბარსა და მოსმენას, შეფასების მიღმა რჩებოდა. ბუნებრივია, ამას ჰქონდა თავისი მიზეზი — რეგიონების აბიტურიენტებს პრობლემა არ ჰქონოდათ, სათანადოდ მომზადებულიყვნენ ამ გამოცდისათვის, მაგრამ გაუმართლებელი იქნებოდა, მოსმენის კომპონენტი არ დაგვემატებინა გამოცდაზე. ვფიქრობ, ეს საკმაოდ მარტივი იქნება, რადგან 100 ქულიდან მხოლოდ 8 ქულა მიენიჭება. გამოცდა დაიწყება ამ ტესტით და 10-12 წუთს გაგრძელდება. უცხოური ენის გამოცდის მოსმენის ნაწილის სამუშაო ვარიანტი სკოლებს გაეგზავნებათ და ვებგვერდზეც განთავსდება“.

მიმინოშვილისვე თქმით, აღნიშნულ ცვლილებასთან დაკავშირებით, ლოჯისტიკის მხრივაც უნდა განხორციელდეს ცვლილებები, რადგან მოსმენის ნაწილს აბიტურიენტები ვერ ჩააბარებენ ისეთ სექტორში, რომელიც სპორტულ დარბაზში ან დერეფანში იყო: „ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ, რომ სექტორში მოსმენის პერიოდში გარედან ხმაური არ იყოს. შესაბამისად, სპორტულ დარბაზებს და დერეფნებს ჩვენ ვეღარ გამოვიყენებთ, ამიტომ საგამოცდო ცენტრების რაოდენობა გაიზრდება“.

რაც შეეხება ხელოვნების ჩაბარებას მეოთხე საგნად, მიმინოშვილის შეფასებით, ეს კარგი ცვლილებაა, რადგან იმ აბიტურიენტებს, რომლებიც ამ მიმართულებით აბარებენ, უფრო მეტად გაუადვილდებათ, ვიდრე გეოგრაფიის ან ისტორიის ჩაბარება. მიმინოშვილის განმარტებით, ხელოვნება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სავალდებულო საგნად ითვლება და ამიტომ გადაწყდა მისი დამატება მეოთხე საგნად: „ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ხელოვნება არის სავალდებულო საგანი და არის რიგი მიმართულებები, რომელთათვისაც ეს საგანი უფრო რელევანტურია. ასე რომ, ჯერ უმაღლეს სასწავლებლებს ვთავაზობთ აღნიშნულ ინიციატივას, შემდეგ კი აბიტურიენტებს. ეს არის ნებაყოფლობითი და ვისაც სურვილი ექნება, შეუძლია, მეოთხე საგნად ხელოვნება ჩააბაროს“.

*„პირველი“*

# ელენე თევდორაძისა და ბაჩო ახალაიას საუბრის სკანდალური დეტალები

## შეწყალების კომისიის თავმჯდომარე ციხეში ძალადობის პოლიტიკის შემოღებაში ლევან რამიშვილს ადანაშაულებს



რუსუდან შელია
557-100-768

**მიხეილ სააკაშვილმა 250-მდე პირი შეიწყალა. მათ შორის, ზურაბ ადეიშვილის ძმა დავით ადეიშვილი, რომელიც ძებნაში იმყოფება, ასევე ბუტა რობაქიძის საქმეზე დაკავებული ყოფილი პოლიციელი მაიზერ ლიპარტელიანი, იუსტიციის მინისტრის ყოფილი მოადგილის, თინა ბურჯალიანის მეუღლე ნიკოლოზ ძიმცეიშვილი. შეწყალების კომისიის თავმჯდომარე აცხადებს, რომ არ ჰქონდა ინფორმაცია, პრეზიდენტი ვის შეწყალებას აპირებდა. ელენე თევდორაძე სააკაშვილის ნაბიჯს „მორალურად უპასუხისმგებლოს“ უწოდებს და „ვერსიასთან“ ნაციონალურ მოძრაობაში გავლენიან პოლიტიკოსებთან ურთიერთობის დეტალებსაც იხსენებს.**

— პრეზიდენტმა შეწყალების კომისიის მიერ რეკომენდებულ პატიმართა სიას ჩემთვის უცნობი 72 პირი დაამატა და შეიწყალა. სოზარ სუბარი აცხადებს, კომისიამ პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღოო, მაგრამ მის პოზიციას არ ვიზიარებ — ვიმეორებ, ეს ადამიანები კომისიას არ შეუწყალებია!

— **თქვენი რეკომენდაციის გარეშე პრეზიდენტს პატიმართა შეწყალების უფლება ჰქონდა?**

— რა თქმა უნდა, შეწყალება პრეზიდენტის იურიდიული უფლებაა... რა უნდა მექნა, როცა ამის შესახებ ინფორმაციაც კი არ მქონდა?! მიხეილ სააკაშვილმა მორალურად უპასუხისმგებლო გადაწყვეტილება მიიღო, თუმცა კონსტიტუციურად ამის უფლება ჰქონდა.

— **ყოფილი თანაგუნდელების შესახებ სკანდალურ განცხადებებს აკეთებთ — ვანო მერაბიშვილი მოკვლით მემუქრებოდა, 9 წლის განმავლობაში ციხეებში პატიმრების რაოდენობა დაფინანსების მისაღებად ხელოვნურად იზრდებოდაო...**

**— ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ვიყავი, როცა 2005 წელს შსს-მ გაავრცელა ინფორმაცია — რუსთავში მიმავალი სამი პირი ციხეში ბუნტის დაწყებას აპირებდა, თუმცა პოლიციასთან ორმხრივი სროლის შედეგად დაიხოცნენო. მოგვიანებით შევიტყვე, რომ არსებობენ თვითმხილველები, რომლებიც ამტკიცებენ — დიდ დილომში ამ სამმა ადამიანმა სამართალდამცავების წინაშე დაიჩოქა და დაპატიმრებას ითხოვდა, მაგრამ დახვრიტესო. ეს ნაციონალური მოძრაობის მმართველობის პირობებში განხორციელებული პირველი დახვრეტა იყო და ამ საქმესთან დაკავშირებით პარლამენტში სესიაზე მოსულ ვანო მერაბიშვილს ვესაუბრე. კარგად მახსოვს, ლოჟაში იჯდა, მივედი და ვუთხარი — შესაძლოა ამის შესახებ არ იცი, მაგრამ დახოცილი ადამიანები პოლიციაში მშვიდობიანად ჩაბარებას აპირებდნენ-მეთქი. მან კი მიპასუხა: სანამ 200 ასეთ ნაძირალას მიწაში არ ჩავდებ, არ მოვისვენებო და დასძინა — შენც მიგაყოლებო...**

— **მუქარის შეგეშინდათ, ამის შესახებ მაშინვე საჯაროდ რატომ არ განაცხადეთ?**

— ვანოს ნათქვამი ხუმრობად აღვიქვი, თუმცა ფაქტია, ამ წინადადებამ ჩემს წინააღმდეგ გაიჟღერა. მაშინ საზოგადოებასაც მოსწონდა, სამართალდამცავები ქუჩაში როგორ ხვრეტდნენ და აპატიმრებდნენ ადამიანებს, რადგან ხალხი კრიმინალების პარპაშით იყო დაღლილი. სამართალდამცავების სახლში შეჭრისა და ტელევიზორში ღამის პერანგში გამოწყობილი ქალების ჩვენებას პირველი შევეწინააღმდეგე, გია ბარამიძესთან საჯაროდ ვიკამათე კიდეც, მსგავსი რამ დაუშვებელია-მეთქი... ფაქტია, ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკა 200 ადამიანის მიწაში ჩაწვენას გულისხმობდა. სწორედ ამ ამბის შემდეგ დაიწყო მოქალაქეების ქუჩაში ჩაცხრილვის პროცესი — გირგვლიანი, რობაქიძე, ვაზაგაშვილი... პარალელურად, ციხეებში პატიმრების რაოდენობა კატასტროფული ტემპით იზრდებოდა.

— **დაასახელეთ, რომელი მაღალჩინოსნის მითითება იყო ციხეებში პატიმრების რაოდენობის გაზრდა დაფინანსების მისაღებად ან თქვენ რა გააკეთეთ ამ ფაქტის პრევენციისთვის?**

— ვარდების რევოლუციამდე ქვეყანაში 4 800 პატიმარი იყო, 2005 წელს კი მსჯავრდებულთა რიცხვი 16 ათასამდე გაიზარდა. რა თქმა უნდა, ამ ფაქტმა შემძრა და გიგა ბოკერიას, რომელიც მაშინ თანამოაზრედ მიმაჩნდა, ვუთხარი — არ მომწონს პატიმართა რაოდენობის ამ ტემპით ზრდა და რამე ვიღონოთ-მეთქი. ბოკერიამ მიპასუხა, 24 ათასამდე როცა ავალთ, ახალი ციხეების ასაშენებლად ფულს მივიღებთო.

— **მაშინ კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, რიგითი დეპუტატი გიგა ბოკერია ციხეში პატიმართა რაოდენობას რატომ წყვეტდა?**

— დიახ, მაშინ გიგა ბოკერია ჩვეულებრივი დეპუტატი იყო, თუმცა ნაციონალურ მოძრაობაში სერიოზული ავტორიტეტი ყოველთვის გააჩნდა. სააკაშვილთანაც ყოველდღიური კონტაქტი ჰქონდა და პრეზიდენტზე სერიოზულ გავლენასაც ახდენდა.

**ციხეებში ძალადობის პოლიტიკა თავისუფლების ინსტიტუტიდან, კერძოდ, ლევან რამიშვილისგან მოდიოდა. მახსოვს, ერთხელ ლევან რამიშვილი პარლამენტში შემხვდა და მკითხა — პატიმრებს ასე ხშირად რატომ იწყალებთო? მოგვიანებით, იგივე კითხვა ბოკერიამაც დამისვა. რამდენიმე დღეში კი ცნობილი გახდა, რომ შეწყალების კომისიის მუშაობის გრაფიკი იცვლებოდა და წელიწადში მხოლოდ ერთხელ შეგვეძლო სხდომის ჩატარება. საეკლესიო დღესასწაულებზე პატიმართა ამნისტირების შესახებ სპეციალური წერილი უნდა დამეწერა.**

— **საზოგადოებაში დღემდე მუსირებს აზრი, რომ ციხეებში 9-წლიანი ძალადობის პოლიტიკის იდეოლოგი ზურაბ ადეიშვილი და ბაჩო ახალაია არიან.**

— ბოკერია და ადეიშვილი ერთი ჯგუფია... რაც შეეხება ბაჩო ახალაიას, იგი მაშინ გავიცანი, როცა ომბუდსმენ სოზარ სუბარის მოადგილე იყო. პირველ შეხვედრაზე ჩემზე ერთი ჩვეულებრივი ახალგაზრდა ბიჭის შთაბეჭდილება დატოვა, მაგრამ როცა სასჯელაღსრულების მინისტრად დაინიშნა, ითქვა, რომ პატიმრების ცემა-ტყეპა ციხეში არსებული ქურდული სამყაროს გასაქრობად აუცილებელი იყო.

— **ციხეში არსებული ძალადობის შესახებ ინფორმაცია წლების განმავლობაში გქონდათ და უფლებადამცველმა ეს ფაქტი საიდუმლოდ შეინახეთ?**

**— ბაჩო ახალაიას ველაპარაკე, რომელმაც მითხრა, რომ პატიმრებთან მსგავს მოპყრობას მას ავალებდნენ, თუმცა ვინ — არ დაასახელა. მაშინ გავაფრთხილე, მეხუთე იზოლატორის უფროსი და ქუთაისის ციხის დირექტორი დეისაძე თანამდებობიდან გათავისუფლების შემდეგ ყოფილმა პატიმრებმა მოკლეს, ასე რომ, როცა შენი პასუხისმგებლობის საკითხი დადგება, არავინ გაიხსენებს ბრძანების გამცემს და ჯოხი შენზე გადატყდება-მეთქი.**

— **ანუ ბაჩო ახალაია მსხვერპლია, რომელიც თანაგუნდელებმა გაწირეს?**

— ციხის ბუნტთან დაკავშირებით, ბაჩო ახალაიას სამი წელი და ცხრა თვე უკვე მიუსაჯეს, თუმცა უნდა ვაღიარო, ეს სასჯელი ლოიალურია. ბაჩოს ციხის ბუნტში მონაწილეობა რომც არ მიეღო, მისი პასუხისმგებლობის საკითხი ნებისმიერ შემთხვევაში უნდა დამდგარიყო, რადგან ციხე მის დაქვემდებარებაში იყო. ვფიქრობ, ამ საკითხზე იუსტიციის ყოფილი მინისტრიც უნდა დაისაჯოს — სააკაშვილის ირგვლივ ყოველთვის ერთი ვიწრო წრე იყო შეკრული, რომელთა გარეშე ქვეყანაში, პრაქტიკულად, საკითხი ვერ წყდებოდა. ერთ მაგალითს გავიხსენებ: ორ საკმაოდ ცნობილ საქმესთან დაკავშირებით ჩავთვალე, რომ პროკურატურა არასწორი მიმართულებით მუშაობდა. ამის შესახებ მიხეილ სააკაშვილსაც ვუთხარი და შესაბამისი დოკუმენტებიც ვაჩვენე. მან მაშინვე ადეიშვილს დაურეკა და უთხრა — ელენემ დოკუმენტები მომიტანა, შენ კი სულ სხვა რამეს მიმტკიცებდიო. ამის შემდეგ ადეიშვილს შევხვდი და პროკურატურამ ორივე საქმის მიმართ დამოკიდებულებაც შეცვალა... ამიტომ მიმაჩნია, რომ მმართველობის პირველ ეტაპზე, სააკაშვილს არასწორ ინფორმაციას აწვდიდნენ.

— **თქვენ ხომ გქონდათ ინფორმაცია. თუ სააკაშვილი გუნდის წევრებს შეცდომაში შეჰყავდათ, რატომ არ ჩააყენეთ პრეზიდენტი საქმის კურსში?**

— სააკაშვილს ბევრჯერ ვუთხარი, ციხეებში უმძიმესი ვითარებაა, პატიმრები სკამზე მორიგეობით სხდებიან და რამე ვიღონოთ-მეთქი, მაგრამ ამის შემდეგ მიშა აღარ მხვდებოდა.

**ადრე, საქართველოს კანონმდებლობით, ჩადენილი დანაშაულისთვის არასრულწლოვნები მხოლოდ 14 წლიდან ისჯებოდნენ. პრეზიდენტის ინიციატივით, პარლამენტში კანონპროექტი შევიდა, რომლის თანახმად, ზღვარი 11 წლამდე უნდა დაწეულიყო. აღვშფოთდი და სააკაშვილს ვუთხარი — შენი შვილი ახლა 10 წლისაა, წარმოიდგინე, ერთი წლის შემდეგ ჯიბეში დანა რომ უპოვონ და დაიჭირონ-მეთქი... მიპასუხა, ამ ინიციატივის შესახებ კარგად არც ვიცი, დილით ბოკერიამ დამირეკა, მელაპარაკებოდა რაღაცას და თუ ასეა, აუცილებლად შევცვლიო. მეორე დღეს პარლამენტში ბოკერია შემხვდა და ნიშნის მოგებით მითხრა, თქვენი ვიზიტის შემდეგ პრეზიდენტს შევხვდი და დავარწმუნე, რომ არასრულწლოვნებზე კანონი უნდა დამტკიცდესო.**

— **დღეს საზოგადოებას რთულად დააჯერებთ, რომ ქვეყანაში 9 წლის განმავლობაში მიხეილ სააკაშვილის გარეშე წყდებოდა მნიშვნელოვანი საკითხები.**

— არაფერს ვამტკიცებ. მხოლოდ იმას ვყვები, რაც ჩემი თვალით მინახავს. ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების შემდეგ ნაციონალურ მოძრაობასთან ჩემი ურთიერთობა დაიძაბა. სააკაშვილი, როგორც გითხარით, აღარ მხვდებოდა. თანაც, ვერაფერს შევცვლიდი, რადგან ამ პარტიის წევრი, უამრავი შემოთავაზების მიუხედავად, არასოდეს ვყოფილვარ. თავს ყოველთვის ზურაბ ჟვანიას თანაგუნდელად მივიჩნევდი, მისი გარდაცვალების შემდეგ ყველაფერზე ერთდროულად აღვშფოთდი და პარლამენტიდან წამოვედი. როცა ეს ამბავი გავიგე, ინტუიციურად ვიგრძენი, რომ პრემიერ-მინისტრის გარდაცვალების ოფიციალური ვერსია სიმართლეს არ შეესაბამებოდა. სააკაშვილისთვის ჟვანია დიდი ავტორიტეტი იყო, რაც მის ახლო გარემოცვას ნერვებს ძალიან უშლიდა. ვიწრო წრეს, რომელზეც ვსაუბრობდი, არ მოსწონდა, რომ ზურას სააკაშვილზე გავლენა ჰქონდა — ეს ბევრს აღიზიანებდა, კონკრეტულად არავის დავასახელებ, გამოძიების შედეგებს დაველოდები.

— **მიუხედავად ამისა, პრეზიდენტის დაქვემდებარებაში არსებულ შეწყალების კომისიას წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდით. თქვენი „აღსარება“ თანამდებობაზე დარჩენის მიზნით ახალ პრეზიდენტთან საერთო ენის გამონახვის მცდელობა ხომ არაა?**

— შეწყალების კომისიაში სააკაშვილს კი არ ვემსახურებოდი, პატიმართა ოჯახებს ვეხმარებოდი. 2008 წლის შემდეგ, ნაციონალური მოძრაობის სხვა წევრებთანაც მხოლოდ წერილობითი ან სატელეფონო ურთიერთობა მქონდა. კომისიის თავმჯდომარედ დარჩენის სურვილი კი, რა თქმა უნდა, მაქვს. არ მინდა, უსაქმოდ დავრჩე, თუმცა ეს მხოლოდ ახალი პრეზიდენტის გადასაწყვეტია.

ვერსიანიუსი

## ე.წ. 7 სპეცრაზმელის საქმეზე ბაჩო ახალაია გაამართლეს



ასევე გამართლდა ახალაიასთან ერთად ბრალდებული შვიდივე პირი. განაჩენის გამოცხადებას დარბაზში შეკრებილები ტაშით შეხვდნენ. საქმე ეხება ბაჩო ახალაიას შს მინისტრად მუშაობის პერიოდს, როდესაც გამოძიების ცნობით, მან კოალიცია „ქართული ოცნებისადმი“ სიმპათიის გამო, შს სამინისტროს 7 თანამშრომელს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

ახალაიას ბრალი საქართველოს სსკ-ს 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, სსკ-ს 144-1-ე მუხლის მე-2 ნაწილის ა, ბ, დ, ე, ვ ქვეპუნქტებით და ასევე სსსკ-ს 144 მე-3 პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის ა, ბ, დ, ე, ვ ქვეპუნქტებით ედება. ბაჩო ახალაია თავს უდანაშაულოდ მიიჩნევს. დაცვის მხარის მტკიცებით, სპეცრაზმელების წამებას ადგილი არ ჰქონია და მათ საწვრთნელი კურსი „რეინჯერი“ გაიარეს. ე.წ. ციხის ბუნტის საქმეზე კი, ბაჩო ახალაიას თავისუფლების 3 წლითა და 9 თვით აღკვეთა მიუსაჯეს.

რამდენიმე დღის წინ ბაჩო ახალაია სისხლის სამართლის პასუხისგებაში სანდრო გირგვლიანის საქმეზე მიეცა. თბილისის საქალაქო სასამართლომ მას აღკვეთის ღონისძიების სახით, წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

*„პირველი“*

ნინო ლურსმანაშვილი
593-51-52-04

# ახალი სამიზნე — ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები







## რას აპირებენ საპრეზიდენტო არჩევნებში დამარცხებული კანდიდატები და გაერთიანდებიან თუ არა გაზაფხულზე ოპოზიციური პარტიები

**სანამ პოლიტიზირებული საზოგადოება იმაზე ფიქრით იმტვრევს თავს, ღარიბაშვილი იქნება პრემიერი თუ სერგეენკო, იმერლიშვილი იქნება უშიშროების საბჭოს მდივანი თუ ხაინდრავა და ინაუგურაციამდე მოიყვანს თუ არა მარგველაშვილი ჩიჩუას ოფიციალურად ცოლად, არჩევნებში დამარცხებული კანდიდატები პოლიტიკურ ცხოვრებას აგრძელებენ და სამომავლო გეგმებს სახავენ. ქვეყნის პირველი პირის სავარძლისთვის ბრძოლა დამთავრდა, მაგრამ პოლიტიკური ომი გრძელდება — ასეთია მათი შემართება. პოლიტიკურ ჰორიზონტზე ახლა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ჩანს — ახალი ბრძოლის ახალი არენა, სადაც პოლიტიკურ ზედაპირზე მოტივტივე ბევრი ძალის ბედი გადაწყდება.**

კანონმდებლობით, პრეზიდენტობის კანდიდატს, რომელიც არჩევნებში ხმათა 10%-ს მიიღებს, წინასაარჩევნო კამპანიის ხარჯები ბიუჯეტიდან მაქსიმუმ ერთი მილიონი ლარის ფარგლებში ერთჯერადად აუნაზღაურდება. 27 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ მოცემულობა ასეთია — წინასაარჩევნო კამპანიის დროს გაწეული ხარჯთაღრიცხვის წარდგენის შემდეგ, ბიუჯეტიდან ერთჯერად დაფინანსებას მხოლოდ ნაციონალები, „ქართული ოცნება“ და ბურჯანაძის დემოკრატიული მოძრაობა მიიღებს. ექსპერტობა არაა საჭირო იმის მისახვედრად, რომ ყველა დანარჩენ პარტიას ფინანსური პრობლემები შეექმნება და ლამის, არსებობაც კი გაუჭირდება. კიდევ არაფერი უჭირთ მათ, ვინც წინა არჩევნებზე კვალიფიციურ სუბიექტებად დაფიქსირდა და საქართველოს კანონმდებლობით, სახელმწიფო დაფინანსებას იღებს — ამ მწირი თანხებითა თუ შემოწირულობებით ისინი თავს გაზაფხულამდე გაიტანენ, მაგრამ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე არასასურველი შედეგის მიღების შემთხვევაში, ეს სახელმწიფო დაფინანსებაც შეიძლება დაკარგონ. ამ ფონზე, თვითმმართველობის არჩევნები პარტიების პოლიტიკური მომავლისთვის მართლაც გადამწყვეტია. რას აპირებენ საპრეზიდენტო არჩევნებში დამარცხებული კანდიდატები და მათ უკან მდგომი ძალები? როგორ გააგრძელებენ ისინი პოლიტიკურ ცხოვრებას და როგორ გაუმკლავდებიან მოსალოდნელ ფინანსურ პრობლემებს? — პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატების სამომავლო გეგმების გასარკვევად, „ვერსია“ რამდენიმე მათგანს დაუკავშირდა.

ქართულ-აფხაზური და ოსური საერთაშორისო მოძრაობის ლიდერი **ნესტან კირთაძე** აცხადებს, რომ 27 ოქტომბრის არჩევნებზე დაიდო წინასწარ განსაზღვრული შედეგი, რომელსაც ერთი გლობალური მასშტაბის პოზიტივი მაინც აქვს — გათამაშდა სცენარი, როცა გამარჯვებულ კანდიდატს მიულოცა დამარცხებულმა კანდიდატმა, რასაც საერთაშორისო საზოგადოება დემოკრატიის გამარჯვებად აღიქვამს. ეს კი, საქართველოს მხრიდან, ევროპასთან დაახლოებისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია. კირთაძემ არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე გააკეთა პროგნოზი, რომ შედეგი სწორედ ასეთი იქნებოდა და ამ ფონზე, მისთვის პირველ სამ ადგილზე მარგველაშვილი-ბაქრაძე-ბურჯანაძის გასვლა მოულოდნელი არ ყოფილა. კირთაძის თქმით, მიუხედავად ამგვარი პროგნოზისა, წინასაარჩევნო კამპანია მაქსიმალურად გამოიყენა მთავარი მიზნის მისაღწევად: **„ჩვენი მართალი სიტყვა, პროგრამა, პლატფორმა, გულწრფელი დამოკიდებულება გავაცანით ხალხსა და მთელ საერთაშორისო საზოგადოებას. დამოუკიდებელი პოლიტიკური მოთამაშე ნესტან კირთაძე შედგა ახალგაზრდა ლიდერთა სახალხო მოძრაობასთან ერთად ანუ შეიქმნა ახალი ძალა, რომელიც მალე ოფიციალურად დარეგისტრირდება და საზოგადოების წინაშე წარსდგება. ეს ძალა ჩაერთვება პოლიტიკურ ცხოვრებაში და მონაწილეობას მიიღებს ყველა პოლიტიკურ პროცესში“.** „ყველა პოლიტიკურ პროცესში“, ცხადია, უპირველესად, მოახლოებული ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები მოიაზრება, რომელშიც ნესტან კირთაძის ახალი მოძრაობა აუცილებლად ჩაერთვება. ანალიტიკოსის აზრით, დროა, რამდენიმე პოლიტიკურმა პარტიამ გარკვეული ტიპის გაერთიანება შექმნას და ფინანსური თუ სხვა რესურსები გააერთიანოს. ამ ფონზე, ჯერ გაურკვეველია, დამოუკიდებლად იბრძოლებს კირთაძის მოძრაობა არჩევნებში თუ ვინმესთან ერთად, სამაგიეროდ გარკვეულია, რომ **„ახალგაზრდა ლიდერთა სახალხო მოძრაობა არ აპირებს, ოლიგარქებთან, ქურდებთან, ლიპებგადმოვარდნილ ბიძებთან ფულის მაძიებლობასა და ვინმეს დაკრულზე თამაშს. საკმარისი რესურსი გვაქვს, თავად ვიშოვოთ საჭირო თანხები — ჩვენს ირგვლივ და ჩვენთან ერთად, 3 საერთაშორისო ევროპული ინსტიტუცია მოქმედებს, მათ აქვთ წამოწყებული პროექტები ბიზნესის ხელშეწყობისთვის. ეს ინსტიტუციები დაეხმარებიან ბიზნესს, ბიზნესი კი — ჩვენს მოძრაობას“.**

არჩევნების შედეგები მოულოდნელი არც ქრისტიან-დემოკრატი **გიორგი თარგამაძისთვის** ყოფილა, მაგრამ ამბობს, რომ მისი პარტია გაცილებით მეტ მხარდაჭერას იმსახურებდა: **„ცხადი იყო, რომ საპრეზიდეტო არჩევნები 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების პოლიტიკური ნაბახუსევი იქნებოდა. ამ ფონზე, შედეგი მოსალოდენელი იყო, მაგრამ მოვალენი ვიყავით, გამოგვეყენებინა საარჩევნო კამპანია ქრისტიან-დემოკრატიული იდეების პოპულარიზაციისთვის და დაგვეჩქარებინა დრო, როცა ქვეყნის მოსახლეობის უფრო მეტი ნაწილი გაიხდის ჩვენს პროგრამას თავის დღის წესრიგად. ახალი კონსტიტუციით, საქართველოს პრეზიდენტს უფლებებიც შეკვეცილი აქვს, ამიტომ ამ არჩევნებს, რა თქმა უნდა, ჰქონდა მნიშვნელობა, მაგრამ არა გადამწყვეტი. აი, თვითმმართველობისა და საპარლამენტო არჩევნები კი, ნამდვილად დიდი პლატფორმაა ნებისმიერი პარტიისთვის“.** შესაბამისად, ქდმ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის მზადებას იწყებს და პარალელურად, პარტიაში საპრეზიდენტო არჩევნებში მიღებულ არასასურველ შედეგს აანალიზებენ. მომდევნო არჩევნებამდე დიდი დრო არ რჩება, ამიტომ გადაწყვეტილებები მალე უნდა მიიღონ, მათ შორის მთავარი ისაა, როგორ იასპარეზებს პარტია — დამოუკიდებელ მოთამაშედ თუ ვინმესთან ბლოკში ან რაიმე ტიპის კოალიციაში. გიორგი თარგამაძე არც ერთ ვარიანტს გამორიცხავს და არც მეორეს. **„ვისთან ერთად შეიძლება ვიბრძოლოთ, ამ ეტაპზე არ დავასახელებ, თუმცა რიგ საკითხებთან დაკავშირებით, არაერთხელ გამოვხატეთ სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებთან საერთო პოზიციები. ეს არ ნიშნავს, რომ მათთან აუცილებლად გავერთიანდებით, მაგრამ რომ ვითანამშრომლებთ, ცხადია“.** „საერთო პოზიციები“ ქდმ-მ ბოლო პერიოდში კუკავას, ბურჯანაძის, ბაღათურიას პარტიებთან ერთად დააფიქსირა, მანამდე კი იყო მოლოდინი, რომ ქდმ იმ მესამე პოლიტიკურ ცენტრში შეიძლებოდა აღმოჩენილიყო, რომლის შექმნაც კარგა ხნის წინ შესთავაზა პოლიტიკურ პარტიებს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა ბაჩუკი ქარდავამ. ამ ფონზე, დღეს რთულია იმის განსაზღვრა, საბოლოოდ, პოლიტიკურად ვისთან დაწყვილდებიან ქრისტიან-დემოკრატები. გიორგი თარგამაძე ამბობს, რომ დრო არ იცდის და ყველაფერი ნათელი თებერვლის ბოლოს, მაქსიმუმ მარტის დასაწყისში გახდება, მანამდე კი, იურისტებთან ერთად სარჩელს ამზადებს ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ — როგორც ჩანს, განცხადება, პრემიერს ვუჩივლებო, წინასაარჩევნო პიარკამპანიის ნაწილი არ ყოფილა: **„დაახლოებით ათ დღეში სარჩელი სასამართლოში შევა. ამით მომეცემა საშუალება, დავუმტკიცო საზოგადოებას, რომ ის ცილისწამების ნიაღვარი, რომელიც ჩემი მისამართით იყო, სრულიად უსაფუძვლოა და ყველას, ვინც ამაში სამარცხვინო წვლილი შეიტანა, აუცილებლად მოუწევს პასუხისგება“.**

მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის ლიდერი **სერგო ჯავახიძე** აცხადებს, რომ მიზანს, რომელიც საპრეზიდენტო არჩევნების წინ დაისახა, მიაღწია. **„ილუზია, რომ პრეზიდენტი გავხდებოდი, არ მქონია. მთელი ჩემი წინასაარჩევნო კამპანია მიმართული იყო იქით, უფასო სარეკლამო დროისა და ყველა მექანიზმის გამოყენებით, ჩემი და ჩემი ძალის იდეოლოგია, პროგრამა გამეცნო ხალხისთვის. მიზანს მივაღწიე — საარჩევნო კამპანიის განმავლობაში, ჩემი და პარტიის ცნობადობა 5%-დან 95%-მდე გაიზარდა. პირველი ეტაპი წარმატებით გადავლახეთ, ამიტომ კარგი განწყობა მაქვს. ვისაც ეგონა, რომ პრეზიდენტი ხდებოდა, იმან ინერვიულოს“,** — ჯავახიძემ ისიც გაგვიმხილა, რომ წინასაარჩევნო კამპანიისას მობილიზებული თანხები ეკონომიურად ხარჯა, ნაწილი გადაინახა, დანაზოგს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის გამოიყენებს, მანამდე კი პარტიის გაძლიერებისა და რებრენდინგის პროცესი იწყება.

თვითმმართველობის არჩევნებში რომელიმე პოლიტიკურ პარტიასთან ერთად ბრძოლას არც სერგო ჯავახიძე გამორიცხავს. **„ამ გადმოსახედიდან ნათელია, რომ პოლიტიკურ პარტიებს ცალ-ცალკე ბრძოლა გაუჭირდებათ. ამ ფონზე, პოლიტიკური ცენტრების შექმნაზე საუბარი სულაც არ არის ურიგო. მთავარი კონფიგურაცია, თუკი საერთოდ, რაიმე ტიპის გაერთიანებული ბრძოლა შედგა, 2014 წლის დასაწყისში გამოჩნდება“.**

ტრადიციონალისტთა ლიდერმა აკაკი ასათიანმა, არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე მხარი ნინო ბურჯანაძეს დაუჭირა — ეტყობა, ყველას ვერ მივაწვდინე ხმა და 2000-მა ადამიანმა მაინც ჩემი გვარი შემოხაზაო, აცხადებს და სამომავლო გეგმებსაც გვიმხელს: **„ბრძოლა გრძელდება. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში აუცილებლად მივიღებთ მონაწილეობას. ეს ძალიან მნიშვნელოვანია“.** იბრძოლებს თუ არა ტრადიციონალისტთა ლიდერი ნინო ბურჯანაძესთან ერთად, ჯერ უცნობია. ამბობს, რომ ამ თემაზე ჯერ არ უსაუბრიათ. **„შეიძლება ნინოსთან ერთად ვიბრძოლო, შეიძლება, სხვა ტიპის კონფიგურაცია და კონსოლიდაციაც მოხდეს. მით უმეტეს, დაფინანსებაც არ გვაქვს და ამ მხრივ, შეიძლება ყველაზე გაჭირვებულებს შორის ვართ. ახლა იმისთვისაც უნდა ვიბრძოლოთ, ამ არჩევნებისგან განსხვავებით, მინიმალური სასტარტო პირობები მაინც შეუქმნან ყველა ძალას ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის. „ოცნება“ ნაციონალებს ადანაშაულებდა, პოლიტიკური ველის ოკუპაცია სრულად მოახდინაო და პრინციპში, თავად იგივეს აგრძელებს. მხოლოდ ის მოახერხეს, არჩევნებმა მშვიდად ჩაიარა. ასე რომ, ბევრი გადაწყვეტილების მიღება მოგვიწევს უახლოეს მომავალში და ბევრი რამ გახდება ნათელი“.**

ევროპელი დემოკრატების ერთ-ერთი ლიდერის, **გიორგი ხოკერაშვილის** განმარტებით, საპრეზიდენტო არჩევნებში პარტიამ გარკვეულწილად ძალები მოსინჯა: **„ეს წავარჯიშება იყო, ახლა ვემზადებით ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის. ჩვენ ისევ ვესალმებით და ვაყენებთ მესამე პოლიტიკური ცენტრის შექმნის იდეას. დემოკრატიული განვითარების გზა რომ არ ჩაიკეტოს, რამდენიმე პოლიტიკური ძალის გაერთიანება და გაძლიერება აუცილებელია. ჩვენ ვართ ედპ-სა და რამდენიმე პარტიასთან ერთად, თუმცა არაა გამორიცხული, მესამე პოლიტიკურ ცენტს პარტიები კიდევ შეემატოს. ვფიქრობ, რადგან პარტიებს დაფინანსება ან არ აქვთ, ან აქვთ, მაგრამ ძალიან მწირი, ძალები აუცილებლად უნდა გავაერთიანოთ. ფინანსების გაერთიანებაც იქნება საფუძველი, ცენტრი გაძლიერდეს და ბრძოლა, სრულფასოვნად გავაგრძელოთ“.** იქნება თუ არა ამ ბრძოლაში ევროპელი დემოკრატების გვერდით მათ მიერ საპრეზიდენტო კანდიდატად წამოყენებული ზურაბ ხარატიშვილი? ამ კითხვაზე გიორგი ხოკერაშვილს მარტივი და მოკლე პასუხი აქვს: **„ცხადია, ყველაფერი ისე იქნება, როგორც აქამდე იყო“.** თავად **ზურაბ ხარატიშვილი** კი „ვერსიასთან“ საუბრისას აცხადებს: **„სამომავლო გეგმებზე საუბარი ნაადრევია, ჯერ კიდევ, საარჩევნო პროცესში ვარ... პოლიტიკური ბრძოლა, რა თქმა უნდა, გრძელდება. ჩვენ, რამდენიმე ინიციატივით, არჩევნების შემდეგ უკვე გამოვედით და პოლიტიკურ აქტიურობას აუცილებლად გავაგრძელებთ“.**

პოლიტიკურად აღარ იაქტიურებს ხალხის პარტიის ლიდერი **კობა დავითაშვილი**. ამის უფლებას მას სინდისი არ მისცემს — არჩევნების დასრულებამდე რამდენიმე საათით ადრე საჯაროდ განაცხადა, ამომრჩევლის 3%-მა თუ არ დამიჭირა მხარი, ესე იგი, სახლში წასვლის დრო დადგაო.

*დასასრული მე-5 გვერდზე*

საინფორმაციო მხარდაჭერა
СВОБОДНАЯ
ГРУЗИЯ

# ახალი სამიზნე — ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები

*მე-3 გვერდიდან*

27 ოქტომბერს ხალხმა უთხრა დავითაშვილს, რომ სახლში წასვლის დროა და ისიც მიდის პოლიტიკიდან — პოლიტიკურად აღარ იაქტიურებს, არჩევნებში აღარ იასპარეზებს, პარტიის ბედსაც მის წევრებს მიანდობს... მაგრამ რჩება პარლამენტში, როგორც რიგითი დეპუტატი. იქაც არ დარჩებოდა, მაგრამ რა ვქნა, ჩემს ოჯახს შემოსავლის სხვა წყარო არ აქვს და რადგან ხალხმა პარლამენტის მანდატი მანდო, ვემსახურებიო, ამბობს. მოკლედ დავითაშვილი მიდის, მოდის და იქვე რჩება: **„არჩევნები დემოკრატიულად ჩატარდა, ყოველგვარი გაყალბების გარეშე, გასამართლებელი საბუთი აღარ მაქვს და ამიტომ ქართულ პოლიტიკას ვტოვებ. არანაირ კენჭისყრაში მონაწილეობას არ მივიღებ და არც პოლიტიკურ გადაცემებში მივიღებ მონაწილეობას. პოლიტიკიდან მივდივარ, თუმცა პარლამენტში ვრჩები, რადგან ეს ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის შემოსავლის ერთადერთი წყაროა. ქართული პოლიტიკა ბიზნესად იქცა, მე არ ვარ ბიზნესმენი და წარმატების იმედიც არ მაქვს“,** — ასეთია კობა დავითაშვილის პოლიტიკური გადაწყვეტილება.

ლეიბორისტები „მშრომელთა ტემპს“ არ აგდებენ და არც ლეიბორისტულ ტრადიციას ღალატობენ — მსოფლიომ აღიარა, მაგრამ ისინი არ აღიარებენ არჩევნების შედეგებს. ოპოზიციური პარტიები მიხვდნენ, რომ გაერთიანება არ აწყენთ, ისინი კი, უსახსრობის მიუხედავად, მაინც არავისთან გაერთიანდებიან, **ვასროლინოთ და ცხვირში ძმრად ვადინოთ ის სიყალბე, რაც ჩაიდინეს ქართველი ხალხის წინაშე. აქციებს არ შევწყვეტთ. ესენი ვერ მოახერხებენ ამ ქვეყნის მართვას და ხალხი ამას არ მოითმენს, გამოვა ჩვენთან ერთად და ეს ყველაფერი დამთავრდება მათი აყირავებით. მერე გინდა რევოლუცია დაარქვით, ამას მივაღწევთ და არ გვინდა არავისთან არც გაერთიანება, არც დაფინანსება — შალვა ნათელაშვილმა უფულოდ, ფეხით მოიარა მთელი საქართველო, ყველა ქალაქი, რაიონი, უბანი... და მოდიოდა ულევი სითბო და სიყვარული ხალხისგან და ამ ხალხთან ერთად გადავაყირავებთ ამათ“.**

**მიხეილ (გელა) სალუაშვილი** ერთადერთი კანდიდატია, რომელმაც არჩევნებში, საკუთარი საკუთარი მოქალაქეობრივი ვალი არ მოიხადა და ხმის მისაცემად არ გამოცხადდა. **„საპრეზიდენტო არჩევნებზე ჩემი, როგორც ამომრჩევლის უფლებით არ მისარგებლია. საკუთარ თავს ხომ არ მივცემდი ხმას“,** — აცხადებს „სამართლიანობის აღდგენის კავშირი — ხმა ერისას“ ლიდერი, რომელიც ამომრჩეველს მოუწოდებდა, დამიჭირეთ მხარი ანუ აირჩიეთ სიცოცხლე, რათა იცოცხლოთო. ერმა კი არ შეისმინა და მოხდა ის, რაც სალუაშვილის მტკიცებით, ბიბლიაშიცაა აღწერილი. **„27 ოქტომბრის არჩევნები დაფიქსირებულია ბიბლიაში და გადმოცემულია, რა შედეგით უნდა დაფიქსირებულიყო. ჩვენ ვდგევართ ძალიან მნიშვნელოვანი ეტაპის მიჯნაზე. ბიბლიისეული მინიშნებით, ორნი დასასრულამდე უნდა დარჩენილიყვნენ. ესაა სააკაშვილისა და ივანიშვილის ფენომენი. ივანიშვილიც აპირებს დატოვოს პოსტი. მაშასადამე დასრულდა რაღაც ეტაპი და საინტერესოა, რა დაიწყო. გველის წელია, მოახლოებულია ბოლო ჟამი, როცა სატანა ანუ დასაბამისეული გველი, ღიად გამოდის ასპარეზზე... და გვარისმიერი მინიშნება — მარ-გველ-აშვილი იმას ნიშნავს, რომ დღეს საქართველოს მოსახლეობა არის ცდუნებაში, რადგან მათ მხარი დაუჭირეს მარგველაშვილს. პოლიტიკურად მძიმე დუღილის პროცესი დაიწყება. „ქართულ ოცნებას“, რომელსაც ფარად ჰქონდა ნაცმოძრაობის კრიტიკა, ეს ფარი მოეხსნა. კოალიცია, პოლიტიკური დარტყმების ეპიცენტრში აღმოჩნდება. ივანიშვილის ფაქტორიც ვერ დასწევს ამ დუღილს. იწყება პროცესი, რასაც ჰქვია გველი დასაბამისა გაიხსნის თავს მცირე ხნით, მისი ღია ასპარეზი გაიხსნება და ამას უნდა მოყვება ცეცხლის დაშვება, ანუ ღმერთის მოსვლა“,** — აცხადებს მიხეილ (გელა) სალუაშვილი, რომლის ძალა, ამ მოვლენას, აქციებითა და პოლიტიკური აქტივობებით ხვდება.





„ცეცხლის დაშვებამდე, ანუ ღმერთის მოსვლამდე“, დარაბებსმიღმა ცივი ზამთარი და გაზაფხულია — ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები კი, ბევრი პარტიისთვის მართლაც შესაძლებელია პოლიტიკურ აპოკალიფსად იქცეს, თუმცა ძალებისა და ფინანსების გაერთიანება ოპოზიციური ძალებისთვის თვითგადარჩენის საშუალება ნამდვილად იქნება. ამ ფონზე, ახლა საინტერესო ისაა, მარტში ვინ ვის დაუწყვილდება, ვინ ვის შეეკვრება და ვინ აღმოჩნდება ბურჯანაძის „მილიონიან“ პოლიტიკურ ორბიტაზე.

რადგან ქვეყანაში, ლეიბორისტების გარდა, ოპოზიციური პარტია არ არსებობს. ასე რომ, ლეიბორისტები მხოლოდ ხალხთან ერთად იბრძოლებენ... ოღონდ, ადგილობრივ არჩევნებში კი არ მიიღებენ მონაწილეობას, იბრძოლებენ იმისთვის, რომ ამ არჩევნების შედეგები გაუქმდეს, მარგველაშვილსა და მის „ოცნებას“ გამოცხადებული 63% ცხვირში ძმრად ამოადინონ, ამხილონ და პოლიტიკური ცხოვრებიდან კუდით ქვა ასროლინონ. პრეზიდენტობისთვის მებრძოლი შალვა ნათელაშვილის მარჯვენა ხელი **გიორგი გუგავა** „ლეიბორისტულ რევოლუციას“ წინასწარმეტყველებს და იმასაც გვიმხელს, რომ 27 ოქტომბრის არჩევნებში გიორგი მარგველაშვილმა პირველ ტურში ვერ გაიმარჯვა: **„ჩვენი გეგმები უკავშირდება იმ გაყალბებულ არჩევნებს, რომელიც გამოგვიცხადეს. ეს არის შედეგი ივანიშვილსა და სააკაშვილს შორის მოღალატეობრივი შეთანხმებისა. ამ შეთანხმების საფუძველს წარმოადგენდა სრული ხელშეუხებლობა იმ კრიმინალზე, რომელიც ჩადენილი აქვს ნაცმოძრაობას 9 წელი ხელისუფლებაში ყოფნისას. სრული ხელშეუხებლობა და ინდულგენცია მიეცა მას მოპარულ ქონებაზე. ამ გარიგების საფუძველს წარმოადგენდა ნაცების რეინკარნაცია. არანაირ პირველ ტურში არ გაუმარჯვია მარგველაშვილს — მან მიიღო 35%, ნათელაშვილმა 25%. ეს ნიშნავს, რომ უნდა შემდგარიყო მეორე ტური, მაგრამ მათ შედეგები ურცხვად გააყალბეს. ეს მონაცემებია, რომელიც პირველადი დათვლებით მივიღეთ უბნებიდან. გვაქვს მტკიცებულებები, ამიტომ ცესკო-ში საჩივრებს შევიტანთ. სასამართლომდეც მივალთ და სტრასბურგში წასვლასაც, იცით, რომ არ დავიზარებთ. მივაღწევთ, რომ არჩევნების შედეგები გაუქმდეს და ხმები ხელახლა დაითვალონ. აი, მაშინ კი აღმოაჩენენ, რომ ნათელაშვილმა 25% მიიღო და მეტიც. ივანიშვილმა წინასწარ გამოგვიცხადა შედეგები. ეს რომ სხვა ქვეყნის ლიდერს გაეკეთებინა, მეორე დღესვე გამოაგდებდნენ კაბინეტიდან. ყველაფერი შეთანხმების საფუძველზე მოხდა. გაიხსენეთ, წინასაარჩევნოდ რა ინტენსივობით ხვდებოდნენ ერთმანეთს უსუფაშვილი და ბაქრაძე, უსუფაშვილი და ბურჯანაძე. ბურჯანაძემაც აღიარა შედეგები იმ მილიონის სანაცვლოდ, რომელსაც ამ დღეებში მიიღებს ბიუჯეტიდან. ეს არჩევნები იმიტომაც არ შედგა, რომ მოსახლეობის ნახევარზე მეტი არ მივიდა ხმის მისაცემად, საერთაშორისო სამართლებრივი პრაქტიკით კი ასეთ დროს არჩევნები ცხადდება ჩაშლილად და ინიშნება ხელახალი არჩევნები. კი, ჩვენთან სხვაგვარადაა, მაგრამ ეგ ცვლილება სააკაშვილმა მაშინ შეიტანა, როცა გაუჭირდა, თორემ, მანამდე აქაც ეგრე იყო. სანამ ამ არჩევნების შედეგების გაუქმება-გადათვლას მივაღწევთ, ამათ მამხილებელ აქციებს ვიწყებთ. ივანიშვილს სახლში უკვე მიუვარდა შალვა ნათელაშვილი და კარიც არ გააღო იმან. აქცია ჩავატარეთ „კარფურთანაც“, რომელიც არის ივანიშვილის ქარვასლა და საქართველოც საკარფურეთი და ქარვასლა ჰგონია მაგას, სადაც ფული უნდა აკეთოს. ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ გამოვათრიოთ იმ კაბინეტებიდან, კუდით ქვა**



## ცივი იარაღის ტარებისთვის მოქალაქეები 200-ლარით დაჯარიმდებიან

21 წლამდე ასაკის პირების მიერ ცივი იარაღის ტარების დეკრიმინალიზება ხდება. ამგვარი ქმედებისთვის 200-ლარიანი ადმინისტრაციული ჯარიმა კი ნებისმიერი ასაკის ადამიანს დაეკისრება. შინაგან საქმეთა სამინისტრომ პარლამენტს „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ და „სისხლის სამართლის კოდექსში“ შესატანი ცვლილებების პროექტები უკვე წარუდგინა.

დღეს ცივი იარაღის ტარება გარკვეული კატეგორიის ადამიანებთან მიმართებაში კრიმინალიზებულია; კერძოდ, ასეთი ქმედებისთვის სისხლის სამართლებრივი სანქცია 21 წლის ასაკს მიუღწეველ პირებს, ნასამართლობის მქონეებსა და იმ მოქალაქეებს ემუქრებათ, რომლებსაც ნარკოტიკების მოხმარებისთვის ადმინისტრაციული სახდელი აქვთ დაკისრებული.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარდგენილი კანონპროექტის თანახმად კი, ნებისმიერი ასაკის ადამიანებისთვის ცივი იარაღის ტარება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დასჯადი ქმედება იქნება. კერძოდ, ქუჩებში, ეზოებში, სტადიონებზე, სკვერებში, პარკებში, საგანმანათლებლო დაწესებულებებში, კინოთეატრებში, საკონცერტო დარბაზებში, კაფეებში, რესტორნებში, საზოგადოებრივ ტრანსპორტში, ავტო და რკინიგზის სადგურებში, აეროპორტებსა და სხვა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ცივი იარაღის ტარება გამოიწვევს პირის ადმინისტრაციული წესით გაფრთხილებას ან 200 ლარის ოდენობით დაჯარიმებას. იგივე ქმედების განმეორების შემთხვევაში, სამართალდარმღვევს 1000-ლარიანი ჯარიმა ან 15 დღის ვადით ადმინისტრაციული პატიმრობა დაეკისრება. ამასთან, ადმინისტრაციული წესით პასუხისმგებლობა არ გავრცელდება ნასამართლობის მქონეებსა და ნარკოტიკების მოხმარებისთვის ადმინისტრაციულ სახდელდაკისრებულ პირებზე — ცივი იარაღის ტარებისთვის ისინი პასუხს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად აგებენ. კანონპროექტის თანახმად, სანქციის დაკისრება არ ემუქრება პირს, რომელიც ცივ იარაღს ატარებს: პირადი ჰიგიენის მოწესრიგების, საკვების მომზადების, პროფესიული საქმიანობის განხორციელების, ნადირობის, თევზაობის, მცენარეული პროდუქტის შემგროვებლობის, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის მიზნით ან ნაციონალური სამოსელის ტარების დროს, როცა ცივი იარაღი (ხანჯალი, ხმალი და სხვა) ასეთი სამოსელის ნაწილია. შსს საკანონმდებლო ინიციატივაში აზუსტებს, რომ „ცივი იარაღის ტარება“ ისეთი გარემოების არსებობას გულისხმობს, როდესაც პირს ცივი იარაღი უჭირავს ხელში, მიმაგრებული აქვს სხეულზე, ინახავს ტანსაცმელში ან ხელბარგში.

შს სამინისტროსვე ინიციატივით, ცვლილებები შეეხება მოტოციკლის მძღოლებსაც. რომლებიც ჩაფხუტის გამოუყენებლობისთვის, ნაცვლად ათისა, 100 ლარით დაჯარიმდებიან ანუ მოტოციკლის მძღოლისა და მგზავრისთვის ჩაფხუტის გამოუყენებლობაზე არსებული ჯარიმა გაათმაგდება.

*„ვერსიანიუსი“*

ვერსიანიუსი

## „პრეზიდენტის მიერ შეწყალებები სასამართლო ხელისუფლებაში ჩარევაა“



სასჯელაღსრულების მინისტრი სოზარ სუბარი აცხადებს, რომ პრეზიდენტის მიერ რამდენიმე პირის შეწყალება პოლიტიკური გადაწყვეტილებაა, რომელიც ხალხის ნებისა და სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგაა მიმართული: „სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ გამართული პოლიტიკური ბრძოლაა, როცა ადამიანი, რომელსაც გუშინ სასამართლომ სასჯელი მიუსაჯა და მეორე დღეს ციხიდან გუბერნატორად ინიშნება, როგორც სამეგრელოს გუბერნატორის შემთხვევაში მოხდა. როცა ადამიანს ერთი დღე არ გაუტარებია საპყრობილეში და ასეთ პიროვნებას იწყალებ, ეს პოლიტიკური გადაწყვეტილებაა და უნდობლობაა იმ სასამართლო ხელისუფლების მიმართ, რითიც წლების განმავლობაში თავად ამაყობდა. ეს არის პირდაპირი ჩარევა სასამართლოს ხელისუფლებაში. მართალია, პრეზიდენტს კანონით ამის უფლება აქვს, მაგრამ მორალურად, სრულიად გაუმართლებელია. შეწყალებას თავისი წესი აქვს“.

*„პირველი“*

მაია მიშელაძე
593-51-90-12

# რაში დახარჯა მიხეილ სააკაშვილმა 10 თვეში 10 მილიონი ლარი

**პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი მთლიანად გახარჯულია — „ვერსიაში“ უკვე ვწერდით, რომ მიხეილ სააკაშვილმა, გიორგი მარგველაშვილს მხოლოდ 5 000 ლარი დაუტოვა. პრეზიდენტის სარეზერვო ფონდში არსებული 10 000 000 ლარი, რაც მთელი წლის განმავლობაში უნდა გაეხარჯა, 10 თვეში ამოწურა. საქართველოს ფინანსთა მინისტრის, ნოდარ ხადურის განცხადებით, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი უკვე აღარ არსებობს, მაგრამ თუ გადაუდებელი ღონისძიებებისთვის გიორგი მარგველაშვილს თანხა დასჭირდება, მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოუყოფენ.**

## ფიზიკური პირებისთვის გამოყოფილ ერთჯერად ფინანსურ დახმარებებში, პრეზიდენტის ადმინისტრაციის თანამშრომელთა უცხოეთში სწავლებასა და უმნიშვნელო ღონისძიებებში გაფლანგული პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი



სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტთან ერთად, პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდებიც მტკიცდება. ბიუჯეტის შესახებ სახელმწიფო კანონის მიხედვით, ეს ფონდები საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებს მიეკუთვნება; ამავე კანონით, მათი მოცულობა, ერთად, წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების მთლიანი ოდენობის 2%-ს არ უნდა აღემატებოდეს: **„საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან სახსრები გამოიყოფა სახელმწიფო ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დასაფინანსებლად. ბიუჯეტის სარეზერვო ფონდების ხარჯების მიმართულებებს განსაზღვრავენ პრეზიდენტი და საქართველოს მთავრობა. პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან თანხებს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც მოიცავს ინფორმაციას თანხის ოდენობისა და მიზნობრიობის შესახებ, გამოყოფს ფინანსთა სამინისტრო. თუ მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოსაყოფი თანხა არ აღემატება 100 000 ლარს, ფინანსთა მინისტრის წარდგინებით, პრემიერ-მინისტრი უფლებამოსილია, თანხის გამოყოფაზე გადაწყვეტილება მიიღოს“,** — აღნიშნულია ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონში.

კანონის მიხედვით, პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდები, ჯამში, 100 000 000 ლარისგან, თითოეული — 50 000 000 ლარისგან შედგება. მიუხედავად ამისა, როდესაც „ქართულმა ოცნებამ“ 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი პარლამენტში წარადგინა, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი 5-ჯერ შეამცირა და მხოლოდ 10 000 000 ლარით განსაზღვრა. უცვლელი დარჩა მთავრობის სარეზერვო ფონდი, რომელიც 50 000 000 ლარით დაამტკიცეს. პრეზიდენტის სარეზერვო ფონდში არსებული 10 000 000 ლარი კი წლის განმავლობაში უნდა დახარჯულიყო, მაგრამ როგორც ფინანსთა მინისტრმა აღნიშნა, სააკაშვილმა მთლიანი თანხა 10 თვეში ამოწურა.

ზოგადად, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან თანხა მხოლოდ გადაუდებელი და სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანი ღონისძიებებისთვის უნდა დაიხარჯოს. მაგალითად, ფორსმაჟორული სიტუაციების ან სტიქიური უბედურებების დროს. „ვერსია“ უკვე წერდა, რომ ხელისუფლებაში ნაციონალური მოძრაობის ყოფნისას, პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან, ძირითადად, კონცერტები, სააკაშვილის უცხოეთში ვოიაჟები ფინანსდებოდა. პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხებით აფინანსებდნენ სხვადასხვა ბულვარისა თუ სკვერის მშენებლობასა და ინფრასტრუქტურულ პროექტებსაც, ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში „ქართულმა ოცნებამ“ ოპოზიციონერ პრეზიდენტს სარეზერვო ფონდი 5-ჯერ შეუმცირა.

საინტერესოა, კონკრეტულად, რა მიზნებისთვის დახარჯა მიხეილ სააკაშვილმა 10 000 000 ლარი 10 თვეში? „ვერსიამ“ პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გაწეული ხარჯის შესახებ დეტალური ინფორმაცია ფინანსთა სამინისტროსგან გამოითხოვა. ოფიციალური დოკუმენტის მიხედვით, მიხეილ სააკაშვილმა სარეზერვო ფონდში არსებული 10 000 000 ლარი ფიზიკური პირებისთვის ერთჯერად ფინანსურ დახმარებაში, პრეზიდენტის ადმინისტრაციის თანამშრომელთა უცხოეთში სწავლა-განათლებასა და სხვადასხვა, გაუგებარ ღონისძიებაში დახარჯა: პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან ფიზიკური პირის, გიორგი ავალიანისთვის, ერთჯერადი ფინანსური დახმარების მიზნით, 35 000 ლარი გამოყვეს, ირაკლი მეგრელიშვილისთვის — 35 000 ლარი, გიორგი ყორღანაშვილისთვის — 30 000 ლარი, მიხეილ მამულაშვილისთვის — 25 775 ლარი, ბექა გოჩიაშვილისთვის — 24 923 ლარი, ნიკოლოზ სეფაშვილისთვის (მერაბ სეფაშვილის ვაჟი) — 24 000 ლარი, ლიდა კახიანისთვის — 22 173 ლარი, მერი კოკაიასთვის — 17 000 ლარი, ზვიად კუპრეიშვილისთვის — 15 000 ლარი, სერგო ლუტიძისთვის — 11 000 ლარი, ია ხვინგიასთვის — 10 814 ლარი, ანდრო გაბისონიასთვის — 10 000 ლარი, კონსტანტინე ჭიჭინაძისთვის — 10 000 ლარი, თამარ თურმანიშვილისთვის — 10 000 ლარი, ირაკლი კოტრიკაძისთვის — 9 000 ლარი, ისევ მიხეილ მამულაშვილისთვის — 8 307 ლარი, ისევ ნიკოლოზ სეფაშვილისთვის — 5 000 ლარი, გიორგი ჯანელიძისთვის — 5 000 ლარი, ანა აზაურაშვილისთვის — 5 000 ლარი, ხათუნა ხუხუნაშვილისთვის — 5 000 ლარი, ციური წერეთლისთვის — 5 000 ლარი, გურამ ბალიაშვილისთვის — 3 900 ლარი, თეიმურაზ ჯალიაშვილისთვის — 3 900 ლარი, ჯანგირ ამიროვისთვის — 3 900 ლარი, გიგა მიქაშავიძისთვის — 3 900 ლარი, ფრიდონ ახობაძისთვის — 3 900 ლარი, თამარ ლათიბაშვილისთვის — 3 600 ლარი, ვასო ურუშაძისთვის — 3 000 ლარი, ბელა ფირცხალავასთვის — 3 000 ლარი, თამარ ზაალიშვილისთვის — 2 250 ლარი, დარეჯან ლომიძისთვის — 2 000 ლარი, ნინო კასრაძისთვის — 1 500 ლარი, დავით სამყურაშვილისთვის — 1 500 ლარი, ვალერი ადამიასთვის — 1 300 ლარი, მანანა მიდელაშვილისთვის — 1 000 ლარი, ქეთო ზარქუასთვის — 1 150 ლარი, ლამარა ხეცურიანისთვის — 1 000 ლარი, ზინე ალიევასთვის — 1 000 ლარი.

საჯარო მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან 85 000 ლარი გამოყვეს, საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით — 160 000 ლარი; საჯარო მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით — 115 000 ლარი, ხოლო საქართველოს მოქალაქეების მიერ, უცხო ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში განათლების მიღების ხელშეწყობის მიზნით, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან 1 013 535 ლარი გამოყვეს. ფინანსთა სამინისტროდან მიღებულ ოფიციალურ დოკუმენტში დეტალურადაა გაშიფრული იმ მოქალაქეების ვინაობა, რომლებმაც უცხოეთში სწავლა-განათლებისთვის საჭირო თანხა პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან მიიღეს:

დავით ტყეშელაშვილი — 24 592 ლარი, დიმიტრი ძაგნიძე — 38 047 ლარი, მარიამ ნადარეიშვილი — 51 898 ლარი, ლილი ლაბაძე — 16 542 ლარი, კახა ინაიშვილი — 12 359 ლარი, თეონა ომარაშვილი — 38 031 ლარი, თამარ კვაშილავა — 16 478 ლარი, გიორგი რაზმაძე — 33 018 ლარი, გიორგი ბურდული — 30 956 ლარი, გივი ჭანუყვაძე — 66 168 ლარი, სალომე ბეჟიტაშვილი — 11 025 ლარი, ირაკლი გაბრუაშვილი — 24 717 ლარი, ნინო დევდარიანი — 16 478 ლარი, ნიკოლოზ სეფაშვილი — 51 498 ლარი, ნიკოლოზ კვირიკაძე — 16 884 ლარი, მარიამ კალანდარიშვილი — 16 478 ლარი, ლევან დუჩიძე — 16 557 ლარი, გიორგი ბურჭულაძე — 16 542 ლარი, ანა ქუმსიაშვილი — 12 875 ლარი, ალექსანდრე ანდღულაძე — 16 369 ლარი, მარიამ კალანდარიშვილი — 4 967 ლარი, შოთა ჯუღელი — 16 957 ლარი, შოთა გარუჩავა — 65 461 ლარი, ქეთი ანდღულაძე — 3 971 ლარი, ქეთევან ანდღულაძე — 7 060 ლარი.

პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან, საზღვარგარეთ სწავლის ხარჯი ორჯერ გამოუყვეს ნინო კვასხვაძეს — 1 203 და 31 753 ლარი, მერი კოკაიას — 10 339 და 39 287 ლარი, ვლადიმერ ლომსაძეს — 23 572 და 15 708 ლარი, ანდრო ლომთაძეს — 5 150 და 7 725 ლარი, ანა ჯინჯოლავას — 6 623 და 16 478 ლარი, თინათინ გოლეთიანს — 6 288 და 25 749 ლარი, ირაკლი მინდაძეს — 4 918 და 16 542 ლარი, გიორგი ლომიძეს — 4 918 და 16 369 ლარი, არჩილ გაბათაშვილს — 7 722 და 14 332 ლარი.

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფლებამოსილების ჯეროვანი შესრულების ხელშეწყობისთვის საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან ჯერ 1 500 000 ლარი, შემდეგ — 90 000 ლარი და ბოლოს 115 000 ლარი გამოყვეს, რამაც ჯამში, 2 515 000 ლარი შეადგინა; საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციისთვის ინტერნეტით სარგებლობისათვის აუცილებელი მომსახურების შეუფერხებელი მიწოდების უზრუნველსაყოფად 5 500, პრეზიდენტის ადმინისტრაციაში შიდასატელეფონო ქსელის მოსაწყობად საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით 33 000, ხოლო საარქივო მასალის შესაძენად 170 000 ლარი გამოყვეს.

საქართველოს სახელმწიფო ჯილდოების, ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენისა (90 ცალი) და წმინდა გიორგის სახელობის გამარჯვების ორდენის (5 ცალი) შეძენისთვის საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან 144 502 ლარია გამოყოფილი; საქართველოს სახელმწიფო ჯილდოს, წმინდა გიორგის სახელობის გამარჯვების ორდენის (20 ცალი) შესაძენად, შპს „ზარაფხანას“ სარეზერვო ფონდიდან 62 000 ლარი გადაურიცხეს.

შეწყალების საკითხთა კომისიის თავმჯდომარის შრომის ანაზღაურებისთვის საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან ჯერ 32 500, შემდეგ კი 2 500 ლარი გამოყვეს, რამაც ჯამში, 35 000 ლარი შეადგინა; შპს „ფორმულა პროესკო ფროდაქშენს“, საბჭოთა ოკუპაციის შესახებ დოკუმენტური ფილმის გადასაღებად საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან 191 160 ლარი გადაურიცხეს; არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირის (ააიპ) „ევროპის ახალგაზრდული პარლამენტი — საქართველოს“ მიერ დაგეგმილი ღონისძიების, თბილისში საერთაშორისო სესიის ჩასატარებლად საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით — 15 000 ლარი გამოყვეს; ააიპ „ჯეოოლიმპის“ 2013 წლის შეჯიბრების გასამართად საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით — 15 000 ლარი; ხელოვნებისა და მეცნიერების დარგებში, შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის 2013 წლის ლაურეატებისთვის ფულადი ჯილდოს გადაცემის მიზნით — 80 000 ლარი.

ააიპ „საქართველოს ამერიკელი მეგობრების ინკ“-ის წარმომადგენლობას საქართველოში, სარეზერვო ფონდიდან 6 000 ლარი გადაურიცხეს, რათა მკერდის კიბოთი დაავადებული ქალბატონების მკურნალობის დასახმარებლად დაგეგმილი საქველმოქმედო ღონისძიებისთვის ანუ ვახშმისთვის საჭირო ხარჯები დაეფინანსებინათ; წარჩინებული სტუდენტების, მოსწავლეებისა და სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის, საჩუქრებად გადასაცემი კომპიუტერული ტექნიკის შესაძენად, შპს „ალგორითმს“ 1 000 000 ლარი გადაურიცხეს.

ააიპ „საქართველოს სამთო გამყოლთა ასოციაციისთვის“ ინვენტარის შესაძენად საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან 34 000 ლარი გამოყვეს; ააიპ „საქართველოს ტრადიციული მეღვინეობის ასოციაციის“ მიერ დაგეგმილი ღონისძიებების უზრუნველსაყოფად საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით — 110 000 ლარი; ააიპ „ახალგაზრდული ინიციატივა მომავალი საქართველოსთვის“ მიერ დაგეგმილი პროექტის, თურქეთში მცხოვრები ქართული წარმოშობის მოსახლეობის რაოდენობის შესახებ სტატისტიკური კვლევების ჩასატარებლად საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით — 90 659 ლარი; ააიპ „მოლაშქრეთა ეროვნული ფედერაციის“ ორგანიზებით, საქართველოში ლაშქრობების მხარდაჭერისა და ტურიზმის პოპულარიზაციისთვის საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით — 17 000 ლარი; ააიპ „ქართლის ტრადიციული მეღვინეობის ასოციაციის“ მიერ დაგეგმილი პროექტის განხორციელებისთვის საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით — 397 000 ლარი.

## ვერსიანიუსი

# საკანონმდებლო პაკეტი კერძო იპოთეკარებისთვის



კერძო იპოთეკარებთან მიმართებაში მთავრობა მიდგომას ცვლის და სანოტარო დამოწმებას სავალდებულოს ხდის. ასევე, კერძო იპოთეკარების შემთხვევაში, საპროცენტო განაკვეთის რეგულირება მოხდება.

მთავრობამ უკვე მოიწონა საკანონმდებლო პაკეტი, რომლის თანახმად, ცვლილებები უნდა შევიდეს „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში“, „სააღსრულებლო წარმოებათა შესახებ“ კანონში და „ნოტარიატის შესახებ“ კანონში. მთავრობის ინიციატივა განხილვებისთვის მალე გადაინაცვლებს საკანონმდებლო ორგანოში.

**„იდეა ისაა, რომ კერძო იპოთეკარების შემთხვევაში, აღდგება სანოტარო დამოწმების სავალდებულო წესი ანუ იპოთეკის ხელშეკრულებები უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით. კერძო იპოთეკარების შემთხვევაში საპროცენტო განაკვეთი რეგულირდება და ზედა ჭერი იქნება წლიური 2,5 %, ყოველთვიური განაკვეთი კი — ამის მეთორმეტედი ნაწილი. 2,5% აითვლება საშუალო საბანკო წლიური განაკვეთიდან“,** — აცხადებს იუსტიციის მინისტრის მოადგილე სანდრო ბარამიძე. მისივე განმარტებით, ცვლილებები შედის ასევე „სააღსრულებლო წარმოებათა შესახებ“ კანონში: **„ცოტა მეტი შვება უნდა მიეცეს იმ პირებს, რომელთა მიმართაც ხდება აღსრულება. მათ შეუძლიათ მაგალითად წინმსწრები აუქციონის მოთხოვნა, სადაც ლიმიტი საწყისი საბაზრო ფასის არ იქნება. ასევე სეკვესტრის შემთხვევაში შესაძლებელია, როდესაც მცირეა რეალურად აუნაზღაურებული მოთხოვნა, მოითხოვონ ალტერნატიული აღსრულების საშუალებები. მთლიანობაში ამ ცვლილებამ უნდა მისცეს გარკვეული შვება, რომელთაც დავალიანება გააჩნიათ“.**

*BPI*

# რეგულაციები მკაცრდება — გაძვირდება თუ არა დანტისტთან ვიზიტი

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

**უკვე აღარავისთვის წარმოადგენს საიდუმლოს, რომ სტომატოლოგიურ კლინიკებში, არასტერილური სამედიცინო იარაღების გამოყენების შედეგად, ადამიანის „ცე“ ჰეპატიტით დაინფიცირება შესაძლებელია; საქართველოში კი ეს დაავადება საგანგაშოდ სწრაფად ვრცელდება. სწორედ ეს გახდა მიზეზი, რის გამოც, ხელისუფლება სტომატოლოგიური კლინიკების გახსნისა და ფუნქციონირების პირობების გამკაცრების საკითხს განიხილავს. სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სააგენტოს ლიცენზირებისა და აკრედიტაციის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ირმა ბურდულაძე კი განმარტავს, რომ არაა გამორიცხული, ჯანდაცვის სამინისტრომ ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები გადადგას და სტომატოლოგიურ სფეროში რეგულაციები გამკაცრდეს.**



რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს სტომატოლოგიური კაბინეტი

ექიმთა ასოციაციის ხელმძღვანელი გია ლობჟანიძე აცხადებს, რომ მოქმედი კანონით, სტომატოლოგიური კლინიკის გახსნა დღეს ქვეყანაში ნებისმიერ ადამიანს უპრობლემოდ, „ლიცენზიის გარეშე, ნებისმიერ სარდაფში“ შეუძლია და ამ ფონზე, პაციენტის უსაფრთხოება მხოლოდ ექიმისა და კლინიკის ხელმძღვანელის კეთილსინდისიერებაზეა დამოკიდებული. ამასთან, არ კონტროლდება კლინიკების ფუნქციონირება და ჰიგიენური სტანდარტები, შესაბამისად, ლობჟანიძე საკითხის საკანონმდებლო დონეზე დარეგულირებას ითხოვს.

ქვეყანაში სხვა პროფილის სამედიცინო კაბინეტებიც მოქმედებს, მაგალითად — ოფთალმოლოგიური, მაგრამ ლობჟანიძის თქმით, გამომდინარე იქიდან, რომ სტომატოლოგიური კლინიკა ბევრია და ეს სფერო ინვაზიურ ჩარევასთანაა (სისხლთან შეხება) დაკავშირებული, ყველაზე სწრაფად ხელისუფლებამ სწორედ მას უნდა მიხედოს.

ირმა ბურდულაძის განმარტებით, საქართველოში სტომატოლოგია 2005 წლამდე ლიცენზირებადი საქმიანობის ნუსხაში იყო, დღეს კი ლიცენზია არ გაიცემა და მხოლოდ კლინიკაში მომუშავე მედპერსონალის სერტიფიკატი მოითხოვება.

როგორც სპეციალისტები ამბობენ, ასეთ პირობებში „ცე“ ჰეპატიტითა თუ სხვა ვირუსით დაავადებების საფრთხე დიდია და ამ დაავადებების მაღალი სტატისტიკის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ უკონტროლოდ მოქმედი სტომატოლოგიური კლინიკებია. სტატისტიკურად, „ცე“ ჰეპატიტის გავრცელების მხრივ საქართველოს, აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალური აზიის რეგიონში, სავარაუდოდ, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს — ექსპერტების გათვლით, ჩვენს ქვეყანაში, 200 000 ადამიანია ინფიცირებული, რაც ქვეყნის მოზრდილი მოსახლეობის 6,7%-ს შეადგენს.

ჯანდაცვის სამინისტროში ამბობენ, რომ სტომატოლოგიური საქმიანობის რეგულირების მიზნით, გარკვეული სამუშაოები მიმდინარეობს, თუმცა ჯერჯერობით უცნობია, კონკრეტულად, რა ნაბიჯების გადადგმა იგეგმება ამ მიმართულებით. დავით სერგეენკოს თქმით, ამ სფეროში რეგულაციები გადასახედია და ლიცენზირების სისტემა აკრედიტაციის სისტემით უნდა შეიცვალოს. მინისტრის განმარტებით, ლიცენზია გულისხმობს გარკვეული საქმიანობის უფლების უსასრულოდ მინიჭებას. ანუ, ლიცენზიანტმა კლინიკა რომ დაანგრიოს და მის ადგილას სასაუზმე გახსნას, ლიცენზიას მაინც შეინარჩუნებს, აკრედიტაცია კი დინამიური კონტროლის მექანიზმია. სერგეენკოს განცხადებით, სტომატოლოგიური კლინიკის გახსნისთვის საჭირო მოთხოვნებს შორის უნდა იყოს სათანადო მოცულობის ფართი, ვენტილაცია და დეზინფექცია, ამ პირობების შესრულებაზე კი მონიტორინგი უნდა დაწესდეს.

„ვერსიასთან“ საუბრისას, არასამთავრობო ორგანიზაცია „გვახსოვდეს ჰიპოკრატეს“ ხელმძღვანელი მარინა ბერაძე აცხადებს, რომ სტომატოლოგია სახელმწიფო რეგულირების სფეროდან ამოვარდა მას შემდეგ, რაც წინა ხელისუფლების დროს სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სამსახური გაუქმდა; სანაცვლოდ არაფერი შეუქმნიათ, რაც დაავადებათა მატების ერთ-ერთი მიზეზი გახდა: **„სტომატოლოგია სახელმწიფო რეგულირების სფეროდან ამოვარდა და როგორც სამედიცინო დაწესებულებების, ასევე კვების ობიექტებისთვის სანიტარული ნორმები გაუქმდა, რამაც ბოლო წლებში „ბე“ და „ცე“ ჰეპატიტით დაინფიცირებულთა რაოდენობის მკვეთრი ზრდა გამოიწვია. წინა ხელისუფლებისთვის, თუნდაც კვლევებით დასაბუთებული მოსაზრების გაზიარება მნიშვნელოვანი არ იყო. მათი ძირითადი არგუმენტი გახლდათ, რომ სანეპიდსადგური კორუფციულად მუშაობდა და პრობლემა გადაჭრეს — სამსახური ერთი ხელის მოსმით გააუქმეს, სანაცვლოდ კი არაფერი შეუქმნიათ. მართალია, არ არსებობს ზუსტი სტატისტიკა, რამდენი ადამიანია დაინფიცირებული, მაგრამ ეჭვი არავის ეპარება, რომ პრობლემა სერიოზულია. მხარს ვუჭერ რეგულაციების გამკაცრებას, თუ ისინი კვალიფიციურად განხორციელდება. სასურველია, სანიტარული ნორმები დაწესდეს არა მხოლოდ სტომატოლოგიური კლინიკებისთვის, არამედ კვლევითი ლაბორატორიებისთვისაც, რაც სამედიცინო მომსახურების ხარისხთან მიმართებაში წინგადადგმული ნაბიჯი იქნება. ზოგადად, სისტემური მიდგომების მომხრე ვარ და სტომატოლოგიური სამსახური სამედიცინო სფეროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია“.**

როგორ იმოქმედებს რეგულაციების გამკაცრება დარგის სამომავლო განვითარებასა და ხელმისაწვდომობაზე? მარინა ბერაძე ამბობს, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, არაკეთილსინდისიერი მეპატრონის მიერ პაციენტის ხარჯზე ეკონომია დაუშვებელია; მისივე თქმით, შემთხვევით გამვლელზე გათვლილი კაბინეტი შეიძლება დაიხუროს, მაგრამ ამ პროცესმა მკურნალობის გაძვირება არ უნდა გამოიწვიოს: **„ამჟამად, ისეთი სტომატოლოგიური კაბინეტები არსებობს, სადაც ინსტრუმენტების სათანადო სტერილიზაცია არ ხდება. მოგეხსენებათ, ეს პროცესი გარკვეულ ფინანსურ დანახარჯთანაა დაკავშირებული, ამიტომ ზოგიერთი არაკეთილსინდისიერი მეპატრონე ეკონომიას აკეთებს, რაც პაციენტისთვის საზიანოა. ნორმების გამკაცრება მკურნალობას უსაფრთხოს გახდის, რაც შეეხება საკითხს — გაძვირდება თუ არა მკურნალობა, ვფიქრობ — არა. შეუსაბამო ადგილებში გახსნილი კაბინეტები, რომელიც გამომვლელებზეა გათვლილი, დაიხურება. სისტემურ მიდგომაზე საუბრისას ვგულისხმობ, რომ სტომატოლოგიური მომსახურების ხელმისაწვდომობა არათუ შემცირდება, უნდა გაიზარდოს კიდეც. ხელისუფლებამ ახალი, თანამედროვე მიდგომები უნდა შეიმუშაოს და ადეკვატური სანიტარული ნორმები უნდა შეიქმნას.**

**ცვლილებების არსი უნდა იყოს არსებული პრობლემების გადაჭრა და არა პირიქით, სამედიცინო დაწესებულებებისთვის პრობლემების შექმნა. ნებისმიერი დარგი მხოლოდ მაშინ ვითარდება, როცა თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაშია. პერსპექტივა გაცილებით უკეთესი იქნება, თუ ამას კვალიფიციურად განახორციელებენ. თავად პაციენტების ინფორმირებაც საჭიროა — უნდა ესმოდეთ, რომ სახლის პირობებში ან რომელიმე ხალხმრავალ ობიექტზე სახელდახელოდ გახსნილ კაბინეტში არ იმკურნალონ მხოლოდ იმიტომ, რომ იაფია, რადგან ასეთ დროს უსაფრთხო სამედიცინო მომსახურების გარანტია არ აქვთ“.**

პრობლემა მტკივნეულია, რაც ჰეპატიტების გავრცელების კატასტროფულ ზრდას უკავშირდება, რთული სოციალური ფონი და მოსახლეობის უმეტესობის გადახდისუუნარობა კი არაკეთილსინდისიერ მფლობელს მოქმედებისთვის ნოყიერ ნიადაგს უქმნის. ამ დროს, მოქალაქეთა ჯანმრთელობა რეალური საფრთხის ქვეშ დგას და საქმე საქმეზე რომ მიდგება, პასუხისმგებელი არავინაა. ამ ფონზე, სტომატოლოგიურ სფეროში რეგულაციების გამკაცრება და საზოგადოების სათანადო ინფორმირება მართლაც აუცილებელია.



## განათლების სამინისტრო ხუთი წლის ბავშვების სკოლაში შეყვანის აკრძალვის შესახებ კანონპროექტზე არ მუშაობს

განათლებისა და მეცნიერების მინისტრისთვის, თამარ სანიკიძისთვის უცნობია, საიდან გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს მისი უწყება შესაბამის კანონპროექტზე მუშაობს და 5 წლის ბავშვების სკოლაში შეყვანის აკრძალვას გეგმავს.

სანიკიძის თქმით, განათლების სამინისტროს აღნიშნული კანონპროექტის არც ინიცირება მოუხდენია და მასზე არც მუშაობს.

მინისტრის განმარტებით, იმ საკითხთან დაკავშირებით, რამდენად შეუძლია ხუთი წლის ბავშვს სასკოლო პროგრამა დაძლიოს, მხოლოდ რამდენიმე კვლევა ჩატარდა.

*„პირველი“*



## მდინარე კისისხევთან საავტომობილო ხიდი ჩაინგრა

31 ოქტომბერს, თელავი-ბაკურციხე-თბილისის მთავარი მაგისტრალის წინანდლის მონაკვეთზე, მდინარე კისისხევთან საავტომობილო ხიდის ერთი ნაწილი ჩაინგრა. ინციდენტის დროს ხიდზე „მერსედესის“ მარკის ავტომობილი დაზიანდა, მძღოლი კი უვნებელი გადარჩა. მთელი ღამის განმავლობაში ადგილზე მობილიზებული იყო საპატრულო პოლიცია და საგზაო დეპარტამენტი.

ხიდის ჩანგრევის მიზეზებს ექსპერტები შეისწავლიან. მაგისტრალზე მოძრაობა ცალმხრივად აღდგენილია, საგზაო სამახურის ინფორმაციით, ხიდის რეაბილიტაციას თვენახევარი დასჭირდება.

*„ინტერპრესნიუსი“*



## სამარ ჩოკუტაევზე წითელი ცირკულარით ძებნა გამოცხადდა

ე.წ ჯიჰადის ვიდეოს დამზადებასა და გავრცელებაში ბრალდებულ ყირგიზეთის მოქალაქეზე საერთაშორისო ძებნის გამოცხადების შესახებ ინფორმაციას შსს-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი ნინო გიორგობიანი ადასტურებს.

ჩოკუტაევის ძებნის დასაწყებად, საქართველოს პროკურატურამ ინტერპოლის გენერალურ სამდივნოს დოკუმენტაცია დაახლოებით ორი კვირის წინ გადაუგზავნა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ე.წ. ჯიჰადის ვიდეოს საქმე გახსნილად 3 ოქტომბერს გამოაცხადა.

შსს-ს ინფორმაციით, „ჯიჰადის“ ვიდეო ყირგიზეთის მოქალაქე სამარ ჩოკუტაევმა შექმნა, რომელიც სოხუმში მუშაობს. ჩოკუტაევმა დანაშაული ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიიდან ჩაიდინა და მას თბილისის საქალაქო სასამართლომ დაუსწრებლად, აღკვეთის ღონისძიების სახით, წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

*„პირველი“*




# საქართველოს ხელისუფლება უკანონო მოსმენებისთვის „ერიქსონის“ ტექნოლოგიებს იყენებდა?

„ფრანს პრესის“ ინფორმაციით, საქართველოს ხელისუფლება, საკუთარი მოქალაქეების უკანონო მოსმენებისთვის შესაძლოა, შვედური სატელეკომუნიკაციო გიგანტის — „ერიქსონის“ ტექნოლოგიებს იყენებდა. კომპანიის წარმომადგენელთა განცხადებით, ტექნოლოგია, რომელიც თავდაპირველად, დამნაშავეთა მოსასმენად შეიქმნა, სტანდარტულია და „ერიქსონმა“ 2005 წელს კომპანია „ჯეოსელს“ ქსელურ აღჭურვილობასთან ერთად მიჰყიდა. **„ტექნოლოგიის დანიშნულება კრიმინალთან ბრძოლაა, თუმცა საქართველოს ხელისუფლება, როგორც ჩანს, მას სხვა მიზნებისთვის იყენებდა“,** — განაცხადა კომპანია „ერიქსონის“ პრესმდივანმა ფრედერიკ ჰალსტანმა.

„ფრანს პრესის“ ინფორმაციით, „ერიქსონის“ წარმომადგენელმა ეს განცხადება მას შემდეგ გააკეთა, რაც შვედეთის საზოგადოებრივ რადიოში გავრცელდა ინფორმაცია, რომ საქართველოს ხელისუფლება საკუთარი მოსახლეობის ფარული მოსმენებისთვის, შესაძლოა, „ერქისონის“ ტექნოლოგიას იყენებდა.

„ფრანს პრესი“ აღნიშნავს, რომ არ არის გამორიცხული 30 ოქტომბერს გავრცელებულ ინფორმაციაში „ერიქსონის“ ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებით, სკანდინავიური ფაქტორიც არსებობდეს, რადგან „ჯეოსელის“ დიდი წილის მფლობელია შვედურ-ფინური „თელიასონერა“.

ამასთან, შვედური რადიოს ცნობით, საქართველოს ხელისუფლებას 21 ათასი მობილური ტელეფონის მოსმენის ტექნიკური შესაძლებლობა ჰქონდა, რომელთა ერთი მესამედი „ჯეოსელის“ აბონენტია.



როგორც „ფრანს პრესი“ წერს, ინფორმაცია უკანონო მოსმენებისას „ერიქსონის“ გამოყენების შესახებ მოჰყვა საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ გავრცელებულ ბრალდებებს, რომ საქართველოს ხელისუფლება საკუთარ მოქალაქეებს უსმენს; ამასთან, როგორც გამოცემას „თელიასონერას“ პრესმდივანმა, სალომონ ბეკელემ განუცხადა, საქართველოს ოპერატორებს მოეთხოვებათ საკუთარ ქსელში მთავრობის დაშვება: **„მთავრობა აწარმოებს ქსელების მონიტორინგს, თუმცა არც ჩვენ და არც სხვა მობილურ ოპერატორებს წარმოდგენა არ გვაქვს, რას უსმენენ და რა ინფორმაციას აგროვებენ“.**

„ფრანს პრესი“ ასევე ციტირებს „ჯეოსელის“ აღმასრულებელი დირექტორის, პასი კოისტინენის შვედურ რადიოსთან გაკეთებულ კომენტარს, რომელმაც განაცხადა, რომ საქართველოს კანონმდებლობით მომსენები სამართლებრივი იყო: **„ჩემთვის ეს მიუღებელია და ვისურვებდი ამ კანონის შეცვლას, მაგრამ რამდენადაც მოსმენები კანონის შესაბამისად ხორციელდება, უნდა დავიცვათ ქვეყნის კანონმდებლობა“.**

ამასთან, როგორც „ფრანს პრესს“ შვედეთის Amnesty International-ის პრესმდივანმა, ელიზაბეტ ლოფგრენმა განუცხადა, მობილურმა კომპანიებმა არ უნდა დაარღვიონ ადამიანთა უფლებები და არგუმენტი, რომ მათი ქმედებები სამართლებრივია, არ ამართლებს: **„თუ ეს მოსმენები უკანონოა, ცხადია, „თელიასონერას“ შვილობილმა „ერიქსონმა“ და „ჯეოსელმა“ პასუხისმგებლობა უნდა იკისრონ“.**

*„ინტერპრესნიუსი“*

# საქართველოს ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა BBC World TV-ს ინტერვიუ მისცა



**„ჩვენ ჩრდილოელ მეზობელთან ურთიერთობების დარეგულირებას ვცდილობთ“,** — განაცხადა საქართველოს ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა, გიორგი მარგველაშვილმა BBC World TV-ის პირდაპირ ეთერში, რომელსაც გადაცემის წამყვანმა დასავლურ პოლიტიკურ ორიენტაციასა და რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობებზე ჰკითხა. მარგველაშვილის თქმით, 27 ოქტომბერს საქართველომ გააკეთა ისტორიული მნიშვნელობის არჩევანი, რომლითაც კიდევ ერთხელ დადასტურდა ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი სვლა ევროპისკენ: **„ჩვენ ვაძლიერებთ ურთიერთობებს ევროპასთან პოლიტიკური და ეკონომიკური მიმართულებით; ვცდილობთ, აღვადგინოთ ეკონომიკური ურთიერთობები რუსეთთან, შევამციროთ ის დაძაბულობა, რომელიც არსებობს კონფლიქტურ რეგიონებში და დავარეგულიროთ ჩრდილოელ მეზობელთან ურთიერთობები“.**

მარგველაშვილმა ასევე ისაუბრა პოლიტიკიდან ბიძინა ივანიშვილის წასვლაზე და აღნიშნა, რომ პრემიერის მიერ თანამდებობის დატოვება მნიშვნელოვანი პრეცედენტია: **„ეს ქმნის დაბალანსებულ დემოკრატიულ სისტემას, რომელიც მესიისა და ზეკაცების არსებობას კი არ ეფუძნება, არამედ ჰყავს პოლიტიკოსები, რომლებიც ხალხს ემსახურებიან“.**

მისივე თქმით, ევროპასთან ინტეგრაციის მიმართულებით შემდეგი ნაბიჯი ვილნიუსის სამიტი იქნება, სადაც საქართველო ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებას შეუერთდება და ეს ხელს შეუწყობს ქვეყნის გაწევრიანებას ევროპულ ოჯახში.

*„ინტერპრესნიუსი“*

# ვლადიმერ პუტინი მსოფლიოს ყველაზე გავლენიანი ადამიანია




ჟურნალ „ფორბსის“ ვერსიით, რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი მსოფლიოს ყველაზე გავლენიანი ადამიანების სიის სათავეში აღმოჩნდა. ამავე ჟურნალის თანახმად, მეორე ადგილს იკავებს აშშ-ს პრეზიდენტი ბარაკ ობამა, მესამეს კი — ჩინეთის ხელმძღვანელი სი ძინპინი. როგორც ჟურნალი „ფორბსი“ აღნიშნავს, პუტინმა იმდენად გაიმყარა ძალაუფლება ქვეყნის შიგნით, რომ ტერმინი „დიქტატორი“ აღარ მიიჩნევა გადაჭარბებად. მან, ჟურნალის თანახმად, შთამბეჭდავ წარმატებას მიაღწია საერთაშორისო არენაზე — დროებითი თავშესაფარი მიანიჭა ამერიკის სპეცსამსახურების ყოფილ კონტრაქტორ ედვარდ სნოუდენს და მიაღწია დასავლეთისა და კონფლიქტში მყოფი მხარეებისთვის მისაღებ კომპრომისს სირიის საკითხში. „ფორბსის“ სიაში 72 ადამიანია — სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი მოღვაწეები და სხვადასხვა კორპორაციების ხელმძღვანელები მოხვდნენ.

*„ინტერპრსნიუსი“*

# რუსებს სირიაში გამგზავრებას უკრძალავენ




სირიაში პოლიომიელიტის ვირუსი მძვინვარებს და არის ფაქტები, რომ აღნიშნული ვირუსი რუსეთის ტერიტორიაზეცაა. ინფორმაციას ამის შესახებ, „როსპოტრებნადზორი“ ავრცელებს და რუსეთის მოქალაქეებს მოუწოდებს, აუცილებლობის გარეშე თავი შეიკავონ ამ ქვეყანაში გამგზავრებისგან.

ამასთან, სანიტარული სამსახური ავალებს რეგიონულ წარმომადგენლებს, ყველა არსებულ კერაში მოახდინონ სასწრაფო ვაქცინაცია და სხვა პროფილაქტიკური სამუშაოები.

პოლიომიელიტი მწვავედ ინფექციური დაავადებაა, რომელიც, ძირითადად, 5 წლამდე ასაკის ბავშვებში ვრცელდება და იწვევს ზურგის ტვინის დამბლასა და სიკვდილს.

*„ინტერპრესნიუსი“*



# მსოფლიოს ღვინის დეფიციტი ემუქრება

შარშან ღვინოზე მოთხოვნამ, 300 მილიონი ყუთით გადააჭარბა, რაც ბოლო 40 წლის განმავლობაში, უმაღლესი მაჩვენებელია, არადა ამერიკული საფინანსო კომპანია Morgan Stanley აცხადებს, რომ მსოფლიოს ღვინის დეფიციტი ემუქრება.

2012 წელს ღვინის წარმოების დონე, 40 წლის განმავლობაში, ყველაზე დაბალი იყო. ღვინის წარმოების დონე, 2004 წლის პიკის შემდეგ, ეცემა. 2004 წელს წარმოებულმა სასმელმა მოთხოვნას 600 მილიონი ყუთით გადააჭარბა.

*„ინტერპრესნიუსი“*

# ამერიკის სავაჭრო პალატა მარგველაშვილთან თანამშრომლობისთვის მზადაა

ამერიკის სავაჭრო პალატაში იმედი აქვთ, რომ გიორგი მარგველაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის პარტნიორობა უფრო გაღრმავდება: **„ეს არჩევნები იყო კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი საქართველოში მყარი დემოკრატიის შექმნის მიმართულებით, რაც შარშან თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნების გზით ხელისუფლების ცვლას მოჰყვა. 28 ოქტომბერს გამოქვეყნებული საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის განცხადებით, 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნები ეფექტურად იმართებოდა და გამჭვირვალე, მშვიდ, კონსტრუქციულ გარემოში მიმდინარეობდა, რაც უდიდესი წარმატებაა. ვულოცავთ საქართველოს მთავრობას, ოპოზიციასა და ქართულ საზოგადოებას. ასევე მივესალმებით პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიღწევებს. მისი მმართველობის პერიოდში იყო ბევრი გამოწვევა, მაგრამ იყო ძალიან დიდი წინსვლაც, რისთვისაც ქართველ ხალხს შეუძლია, მადლიერი იყოს. მომავლის საქართველო ამ მემკვიდრეობის ბევრ კარგ ასპექტს შეიძლება დაეფუძნოს“,** — ნათქვამია პალატის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ამერიკის სავაჭრო პალატა ყველაზე დიდი ბიზნესასოციაციაა საქართველოში, რომელიც 150-ზე მეტ კომპანიას აერთიანებს სხვადასხვა სექტორიდან. იგი 1998 წელს დაარსდა და მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს ამერიკა-საქართველოს ურთიერთობებსა და ბიზნესკლიმატის გაუმჯობესებას საქართველოში.

*BPI*



1. დარტანიანის მსახური „სამ მუშკეტერში“
2. ვულკანიდან ამოფრქვეული გავარვარებული მასა
3. ბალნეოლოგიური კურორტი ხარაგაულის რაიონში
4. ბალტიისპირეთის ქვეყანა
5. მეფის მთავრობასთან მებრძოლი მთიელი პარტიზანი
6. ტარზანის როლის შემსრულებელი ამერიკელი მსახიობი
7. თამბაქოს ხმელი ფოთლების ასხმულა
8. ქართველი ძალოსანი და ესპარ-ლამენტარი
9. მღვდელი „მარადისობის კანონში“
10. უსინათლოთა შრიფტის ავტორი
11. სისხლნაკლებობა
12. „ტოიოტას“ მოდელი
13. იაპონური გრძელი მახვილი
14. დიაოხის სამეფოს მეფე
15. იაპონური მულტიპლიკაცია
16. დაუქორწინებლობა
17. თბილისის არაბი მმართველი
18. შექსპირის „ოტელოს“ პერსონაჟი
19. ვიქტორ ჰიუგოს „საბრალონის“ პერსონაჟი
20. სოფელში მცხოვრები ცალკე ოჯახი
21. ამაზონის დელფინი
22. საკურორტო ქალაქი ყირიმში
23. იგივეა, რაც ფირნიში
24. ვოლტერის ნამდვილი გვარი
25. სახელმწიფო ოკეანიაში
26. მიკროსკოპის გამომგონებელი
27. მუსიკალური თეატრის სახესხვაობა
28. ლომი სიმბას ქალიშვილის სახელი
29. ცეცხლგამძლე კარადა
30. ოქროს ურდოს სარდალი
31. ვიოლინოების იტალიელი ოსტატი
32. იტალიელი ნობელიანტი მწერალი
33. „საახალწლო“ ხე
34. მუსიკალ. გამის II ნოტი
35. ინდოელი კინოვარსკვლავი აიშვარია ...
36. მუხარშავი ან შეუწვავი
37. ჯულიეტას ბიძაშვილი „რომეო და ჯულიეტაში“
38. ტაჯ-მაჰალის მავზოლეუმის ქალაქი
39. საოპერო პარტია
40. ინგლისური წარმოშობის ცეკვა
41. ღმერთის ერთ-ერთი ფორმა ინდუიზმში
42. მიწაში ამოთხრილი ადგილი
43. ტბა ჩრდილოეთ ამერიკაში
44. მდინარე შვეიცარიასა და საფრანგეთში
45. წამწამიანი ჭიის მატლი
46. კამბოჯის ფულის ერთეული
47. ქალაქი იმერეთის მხარეში
48. ინდოეთის საკურორტო შტატი
49. ხუთსაზიანი სანოტო სისტემის შემკრთებელი ფრჩხილი
50. მუსლიმანთა ღმერთი
51. კონსტანტინე გამსახურდიას მშობლიური მდინარე
52. საკურთხევლის გამომყოფი ტიხარი ეკლესიაში
53. ტიბეტური ხარი
54. წვრილი და მაღალი შენობა
55. ამერიკელი კინორეჟისორი
56. კოვბოების შეჯიბრება
57. მოგრძო, ტარიანი საჭრელი იარაღი
58. ფრთოსანი ქალი-ურჩხული ბერძნულ მითოლოგიაში
59. სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია
60. უბიწო, უმწიკვლო
61. მსახიობი ვივიენ ...
62. ადამის ძვალი, რომლიდანაც ევა შეიქმნა
63. თვითმფრინავის კიბე
64. ეთერზეთოვანი მცენარე
65. ფრანგი მწერალი
66. ატლანტის ოკეანის ზღვა
67. აიბოლიტის ძაღლი რუსულ მულტფილმში
68. პოეტური გამოცანა
69. მუხის ნაყოფი
70. „მანჩესტერ იუნაიტედის“ სტადიონი „... ტრაფორდი“
71. ალ. ბუვიეს რომანი
72. მტირალის პროტოტიპი
73. მუსლიმანი, რომელიც აღიარებს მხოლოდ ყურანს და უარყოფს სუნას
74. შუალედური ინსტრუმენტი ვიოლინოსა და ვიოლონჩელს შორის
75. მატყლის ქსოვილი
76. საბანკო შეტყობინება
77. მოხულიგნო ახალგაზრდა
78. ბუსებრი თუთიყუში
79. სომხური გვარების წინსართი
80. ქალაქი უკრაინაში
81. შინაური ფეხსაკიანი ფრინველი
82. მცირე აზიის სახელი შუა საუკუნეებში
83. ინგლისელი მწერალი ივლინ ...
84. იგივეა, რაც ველოდრომი
85. გერმანიის საფეხბურთო კლუბი
86. ხურდა ფული ლაოსში
87. მტაცებელი ფრინველი



# დაავადებებს სიზმრებით დაადგენენ?

ბრიტანელმა სწავლულებმა ლაფბოროს უნივერსიტეტიდან სიზმრების სამედიცინო ახსნა შეძლეს, რომელიც გარკვეულ დაავადებებთან უშუალო კავშირშია. მაგალითად, კოშმარი, როგორც აღმოჩნდა, იმ ადამიანს ესიზმრება, ვისაც შაკიკი ან გულსისხლძარღვთა სისტემის პათოლოგია აწუხებს — როგორც წესი, კოშმარი ძილის დროს ტვინში სისხლის მიწოდებას აუარესებს, — ამბობენ მეცნიერები. ცვალებადი სიზმრები ოთახში ზედმეტად მაღალი ან დაბალი ტემპერატურისა და ანტიდეპრესანტების მიღების შედეგია. სიზმრები, სადაც ადამიანი ვინმესგან გაქცევასა და თავის გადარჩენას ცდილობს, ალცჰეიმერისა და პარკინსონის დაავადების ნიშანია და ისინი ნერვული სისტემის პათოლოგიის განვითარებასაც უწყობს ხელს. ალკოჰოლის მიღების შემდეგ ადამიანი მკვეთრ სიზმრებს ხედავს, ეროტიკულ სიზმრებს კი ხანდაზმულები ხედავენ.



# ჰოროსკოპი
## 1 ნოემბერი

***ვერძი*** — საქმიანი შეხვედრები გელით, შესაძლოა, ხმაურიან წვეულებაზეც მოგიწიოთ წასვლა, მიუხედავად იმისა, რომ ყურადღების ცენტრში ყოფნა არ გსურთ.

***კურო*** — ისეთი საქმის შესრულება მოგიწევთ, რასაც ახლობელი ადამიანის დახმარების გარეშე თავს ვერ გაართმევთ. ნუ იტყვით უარს თანადგომაზე, რადგან ამით მხოლოდ თქვენ დაზარალდებით.

***ტყუპები*** — კომპრომისზე წასვლა მოგიწევთ, წინააღმდეგ შემთხვევაში უსიამოვნებას გადაეყრებით. თუ ამბიციებს დაიოკებთ, ნაკლებ პრობლემას შეიქმნით.

***კირჩხიბი*** — მიხვდებით, რომ გარშემომყოფებზე ერთი თავით მაღლა დგახართ, რაც პასუხისმგებლობას გიორმაგებთ. უმჯობესია, ნაკლებად კრიტიკული იყოთ მათ მიმართ, ვინც გიყვართ — მხოლოდ ასე შეძლებთ კონფლიქტის თავიდან აცილებას.

***ლომი*** — სიმართლის გასარკვევად დიდი ძალისხმევა დაგჭირდებათ. შესაძლოა, ვიღაცას არ მოეწონოს თქვენი ცნობისმოყვარეობა, ამიტომ სამომავლო გეგმები მხოლოდ მასთან განიხილეთ, ვისაც ენდობით.

***ქალწული*** — საქმიანი შეხვედრა ნაყოფიერად ჩაივლის, თუმცა ნაკლებად ემოციური უნდა იყოთ და ყოველი გადაწყვეტილება ცივი გონებით მიიღოთ.

***სასწორი*** — ახლობლების პრობლემების მოგვარება სხვა დროისთვის გადადეთ. დღეს აჯობებს, მხოლოდ საკუთარი საქმეებით დაკავდეთ. ყველაფერს ერთად ნუ შეეჭიდებით და ვითარების ადეკვატურად იმოქმედეთ.

***მორიელი*** — შესაძლოა, რეალობისგან მოწყვეტილი აღმოჩნდეთ. ერთი მხრივ, ეს ცოტას ამოგასუნთქებთ, მეორე მხრივ კი, არაა გამორიცხული, ხელი შეგეშალოთ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებაში.

***მშვილდოსანი*** — მოთმინება გამოიჩინეთ, უახლოესი პერიოდის განმავლობაში ნაკლებად მიიღებთ სასიხარულო ინფორმაციებს, თუმცა ეს ყველაფერი დროებითია და მალე ვითარება ჩვეულ კალაპოტს დაუბრუნდება.

***თხის რქა*** — თქვენი უნარი, იგრძნოთ და შეამჩნიოთ ის, რასაც სხვები ვერ ხედავენ, გაძლიერდება. სწორედ დღეს მიიღებთ პასუხებს იმ კითხვებზე, რომელიც კარგა ხანია გაწუხებთ.

***მერწყული*** — შესაძლოა, აპათიის მსხვერპლი გახდეთ. ამ მდგომარეობასთან ბრძოლის საუკეთესო საშუალება კი მეგობრებთან ურთიერთობაა. ნუ მისცემთ თავს დასვენების უფლებას.

***თევზები*** — ყურადღებიანი მსმენელის როლში ყოფნა მოგიწევთ, რაც მოსაბეზრებელია, მაგრამ დროებით სხვის პრობლემებზე კონცენტრირება საკუთარს დაგავიწყებთ.

# რძე გახდომაში დაგეხმარებათ



ამერიკელი მკვლევარები გვირჩევენ, წონაში დასაკლებად დღეში ორი ჭიქა რძე დავლიოთ. სპეციალისტებმა კვლევა 40-დან 65 წლამდე ასაკის მამაკაცებსა და ქალებზე ჩაატარეს — ისინი ზედმეტ წონას უჩიოდნენ, ხოლო ორწლიანი დაკვირვების შედეგად აღმოჩნდა, რომ ექსპერიმენტში მოხალისეებმა საგრძნობლად დაიკლეს წონაში ისე, რომ მათ ჯანმრთელობას არავითარი საფრთხე არ შექმნია. ექიმები განმარტავენ, რომ წონაში კლების პროცესი ძალიან ნელა მიმდინარეობს, რძე კი ადამიანის ორგანიზმს სტრესისგან იცავს, წვავს ცხიმებს და კანიც არ ზიანდება.

# გერმანიაში ბავშვის გაჩენა მოდური აღარ არის



ახალი გამოკვლევის მიხედვით დადგინდა, რომ შვილის ყოლა გერმანელებისთვის სულ უფრო უინტერესო ხდება. მოსახლეობის გამოკვლევის ფედერალური ინსტიტუტის სწავლულები შობადობის კლების მიზეზად იმ სირთულეებს ასახელებენ, რაც პროფესიული საქმიანობისა და მშობლის მოვალეობის შეთავსებისას წარმოიშობა. ამის გამო ქალები ხშირად უარს ამბობენ შვილი გაჩენაზე და მხოლოდ კარიერას უკავშირებენ ცხოვრებას. ასე რომ, გამოკითხვის მიხედვით, ბავშვის ყოლა ბევრი გერმანელისთვის უკვე მეორე პლანზე გადადის.

# ტუალეტის ოქროს ქაღალდს ყიდიან



ავსტრალიურმა კომპანიამ Toilet Paper Man გამოუშვა ტუალეტის ოქროს ქაღალდი, რომელიც 22-კარატიანი ძვირფასი მეტალისგანაა დამზადებული. როცა დუბაის ზოგიერთ სასტუმროში ოქროს უნიტაზები ვნახეთ, მივხვდით, რომ ჩვენი პროდუქცია იქაურობას ძალიან მოუხდებოდა, — აცხადებს ძვირფასი ქაღალდის მწარმოებელი. ერთი რულონი ჰიგიენური საშუალება 1,3 მილიონი დოლარი ღირს, მის შექმნაზე კი ავტორებმა, დაახლოებით, ოთხი წელი იმუშავეს, მაგრამ როგორც ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა წერს, ჯერჯერობით, არავის გამოუთქვამს მისი შეძენის სურვილი.

# ადამიანის ნიჭი თვალებში ეტყობა



როგორც აღმოჩნდა, ადამიანის ნიჭისა და სხვადასხვა შესაძლებლობების აღმოჩენა ტესტირების გარეშე, თვალის ფერის მიხედვითაც ყოფილა შესაძლებელი. ლუისვილის უნივერსიტეტის მკვლევარებმა უნიკალური ექსპერიმენტი ჩაატარეს, რომელშიც მონაწილეობა რამდენიმე ათასმა ადამიანმა მიიღო, რომელთაც ღია ფერის თვალები ჰქონდათ. აღმოჩნდა, რომ ისინი ცხოვრებაში უფრო წარმატებულები იყვნენ, ვიდრე სხვა ფერის თვალების მქონე მოხალისეები. მკვლევარები ასევე მიიჩნევენ, რომ ცისფერთვალება ხალხი წარმატებულია სწავლაში და მრავალფეროვანი ნიჭით გამოირჩევა. მათ ხშირად უმართლებს სპორტის ისეთ სახეობებში, როგორიცაა ჰოკეი და გოლფი. ჯერჯერობით, მეცნიერებმა ვერ მოუძებნეს ახსნა აღმოჩენილ ფენომენს. ამოცანის ამოხსნას ისიც ართულებს, რომ თვალის ფერი კი გადაეცემა მემკვიდრეობით, მაგრამ რთული გენეტიკური კომბინაციის შედეგია და ხშირად რამდენიმე თაობის შემდეგ ვლინდება.



# ჰოროსკოპი
## 2 ნოემბერი

***ვერძი*** — ნურავის ნურაფერს დაუმტკიცებთ, მშვიდად აკეთეთ თქვენი საქმე და ამისთვის არაფერი დაიშუროთ, მიღწეულით კი საკმაოდ კმაყოფილი დარჩებით.

***კურო*** — მოაგვარეთ ურთიერთობები საქმიან პარტნიორებთან. მიახვედრეთ ისინი, რომ გადამწყვეტი სიტყვა თქვენ გეკუთვნით და ყველაფერი ისე იქნება, როგორც გეგმავდით.

***ტყუპები*** — ნუ შეუშინდებით სიახლესა და ცვლილებებს, თუ მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მოქმედება გადაწყვიტეთ, ნუღარ დააყოვნებთ.

***კირჩხიბი*** — შესაძლოა, ბევრი რამის გაკეთება შეგიძლიათ, მაგრამ ყველაფერს ერთბაშად ნუ მოედებით, წინააღმდეგ შემთხვევაში წამოწყება წამოწყებად დარჩება.

***ლომი*** — უმართლებს მას, ვისაც რისკი არ აშინებს. დღეს ადვილად მოაგვარებთ ფინანსურ საკითხებს. სამსახურთან დაკავშირებით კი სერიოზულ გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ — აჯობებს, ჯერ კარგად დაფიქრდეთ.

***ქალწული*** — თქვენი სწრაფვა ლიდერობისკენ გარშემომყოფებს აღიზიანებს. გაითვალისწინეთ, რომ ზედმეტი სიამაყე კარგს არაფერს მოგიტანთ.

***სასწორი*** — თქვენი დახმარება უახლოეს ადამიანს დასჭირდება, რაზეც უარი არ უნდა უთხრათ. ეცადეთ, მეტად ყურადღებიანი იყოთ გარშემომყოფების მიმართ.

***მორიელი*** — რამდენიმე იდეის ერთდროულად განხორციელება გინდათ, რაც მეტად სარისკოა. გაითვალისწინეთ კომპეტენტური ადამიანების რჩევები და მხოლოდ ასე იმოქმედეთ.

***მშვილდოსანი*** — წარმატებისკენ მიმავალ გზაზე ხელს ვერაფერი შეგიშლით. იმოქმედეთ და არანაირი საფრთხის წინაშე არ დაიხიოთ უკან. ყველაფერს სწრაფად მოაგვარებთ.

***თხის რქა*** — ერთი შეხედვით უმნიშვნელო მოვლენამ, შესაძლოა, გეგმები თავდაყირა დააყენოს. მთავარია, სიმშვიდე შეინარჩუნოთ და ვითარება აკონტროლოთ.

***მერწყული*** — უამრავი პასუხგაუცემელი კითხვა დაგიგროვდათ, სწორად ჩამოაყალიბეთ აზრი და რჩევისთვის კომპეტენტურ ადამიანებს მიმართეთ. ეცადეთ, დრო საკუთარ თავსაც დაუთმოთ.

***თევზები*** — შესაძლოა მოგეჩვენოთ, რომ უფუნქციოდ ხართ და თქვენი არავის ესმის, მაგრამ ეს ყველაფერი დროებითია — მდგომარეობა მალე უკეთესობისკენ შეიცვლება.

# სუდოკუმანია

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 2 | | | | | 4 | |
| | | | | 1 | 4 | 8 | 7 | |
| | | | | | | | | 9 |
| 4 | | | | | 7 | | | 1 |
| 2 | 7 | | 1 | | 3 | | 5 | 4 |
| 3 | | | 6 | | | | | 7 |
| 9 | | | | | | | | |
| | 8 | 4 | 5 | 6 | | | | |
| | 6 | | | | | 1 | | |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | | | 9 | 7 | | | | 3 |
| | | 6 | 8 | | | | | 5 |
| | 4 | | | | | 7 | | 8 |
| | 3 | 2 | | | 6 | | | |
| | | | | 8 | | | | |
| | | | 1 | | | 3 | 6 | |
| 7 | | 1 | | | | | 2 | |
| 4 | | | | | 8 | 5 | | |
| 3 | | | | 6 | 7 | | | 9 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 6 | | 9 | | 4 | 3 |
| | 5 | | | 7 | | | | |
| | | 6 | | | | 1 | | |
| 3 | | 5 | | | | 7 | | 9 |
| 8 | | | 5 | | 1 | | | 2 |
| 4 | | 1 | | | | 6 | | 8 |
| | | 3 | | | | 9 | | |
| | | | | 3 | | | 7 | |
| 5 | 8 | | 7 | | 4 | | | |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 3 | | | | | | | |
| | | 9 | | 4 | | 2 | | |
| | 1 | | | | 7 | 6 | | |
| 3 | | | 8 | | | 7 | | 5 |
| | 5 | | | | | | 6 | |
| 2 | | 4 | | | 9 | | | 8 |
| | | 5 | 4 | | | | 3 | |
| | | 3 | | 2 | | 8 | | |
| | | | | | | | 7 | 4 |



## ჰოროსკოპი
## 3 ნოემბერი

***ვერძი*** — ნუ დაგეგმავთ საქმიან შეხვედრებს, ეცადეთ, არსებული პრობლემებისგან განიტვირთოთ და დრო მეგობრებს დაუთმოთ

***კურო*** — პრობლემები, რომელიც პირად ცხოვრებაში მოულოდნელად წარმოიქმნება, მალევე უკვალოდ გაქრება. ეცადეთ, თავი აარიდოთ კონფლიქტს, დღის მეორე ნახევარი კი დასვენებას მიუძღვენით.

***ტყუპები*** — თუ საქმეს ენთუზიაზმით მოეკიდებით, ეს პროფესიულ გამოცდილებას შეგმატებთ. თავი აარიდეთ საყვარელ ადამიანთან კამათს, ამან შესაძლოა, კონფლიქტამდე მიგიყვანოთ.

***კირჩხიბი*** — მიმდინარე პროცესების მიუხედავად, არ უნდა დაკარგოთ ოპტიმიზმი — შეეცადეთ, კარიერას მიხედოთ. მიღებული ინფორმაცია ბევრ რამეს შეცვლის თქვენს ცხოვრებაში.

***ლომი*** — შეგექმნებათ შთაბეჭდილება, რომ ერთ ადგილს ტკეპნით და არანაირი წინსვლა არ გაქვთ, მაგრამ ცდებით — უახლოეს დღეებში წარმატებას მიაღწევთ, რაშიც საქმიანი კონტაქტები დაგეხმარებათ.

***ქალწული*** — შესანიშნავი პერიოდი გელით — მოგზაურობა, მხიარული წვეულებები, სადაც გაიცნობთ ადამიანს, რომელიც თქვენს ცხოვრებას რადიკალურად შეცვლის.

***სასწორი*** — საკმაოდ კომუნიკაბელური ხართ და არ გაგიჭირდებათ საერთო ენის გამონახვა თანამშრომლებთან. კარგი დღეა გარიგებისთვის, ხელშეკრულების გაფორმებისთვის...

***მორიელი*** — ზუსტად ჩამოაყალიბებთ, რისი მიღწევა გინდათ და გეგმებსაც დასახავთ. მიუხედავად არსებული წინააღმდეგობებისა, თქვენს რისკს შედეგი აუცილებლად გაამართლებს.

***მშვილდოსანი*** — ემოციური დაძაბულობა და კონფლიქტი ყოველწუთს მწიფდება. განსაკუთრებით გაუფრთხილდით ურთიერთობას საყვარელ ადამიანთან.

***თხის რქა*** — უმჯობესია, ყოველი სიტყვა აკონტროლოთ, რადგან დაუფიქრებელმა ფრაზებმა, შესაძლოა, საყვარელი ადამიანების წყენა განაპირობოს, ამიტომ სანამ რამეს იტყვით, დაფიქრდით.

***მერწყული*** — შეეცადეთ, დროის დიდი ნაწილი საინტერესო ადამიანების გარემოცვაში გაატაროთ. იდეალური დღეა ახალი სასიყვარულო თავგადასავლებისთვის.

***თევზები*** — მძიმე დღე გელით სამსახურში — დაძაბული სამუშაო თქვენს განწყობაზე იმოქმედებს. არაა გამორიცხული კამათი კოლეგებთან, მაგრამ ეცადეთ, პროვოკაციას არ წამოეგოთ.

## ყველაზე ხნიერი წყვილი



გინესის რეკორდების წიგნში უჩვეულო წყვილი მოხვდა — 107 წლის კარამი და მისი 100 წლის მეუღლე კატარი ჩანდი. ისინი უკვე 87 წელია, ერთად ცხოვრობენ ბრედფორდში, რვა შვილი და 28 შვილიშვილი ჰყავთ. წყვილი აღიარებს, რომ სიცილი, კარგი განწყობა და ერთმანეთზე ზრუნვა წარმატებული ქორწინების საწინდარია, 107 წლის მოხუცი კი აცხადებს, რომ გამუდმებით ცდილობს, მეუღლე გაამხიარულოს. გარდა ამისა, წყვილის თქმით, მნიშვნელოვანია, ცოლ-ქმარმა ერთად მეტი დრო გაატაროს, იყვნენ პატიოსნები, ერთგულები, უყვარდეთ ერთმანეთი და ყოველთვის ცდილობდნენ გაგებასა და გვერდში დოგმას რთულ ვითარებაში. რეკორდსმენი ოჯახის განცხადებით, ბედნიერი ოჯახისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ ერთმანეთის მავნე ჩვევებს შეეგუონ, უფრო მომთმენები იყვნენ და წვრილმანებზე არ გაღიზიანდნენ.

## ქალაქს ხელოვნური მზით გაანათებენ

ნორვეგიის ქალაქ რიუკანის მაცხოვრებლებმა ცოტა ხნის წინ პირველად იხილეს შემოდგომის მზე. საქმე ის გახლავთ, რომ ეს დასახლებული პუნქტი მაღალ მთებს შორის არსებულ ვიწრო ხეობაშია გაშენებული და აქ სექტემბრიდან მარტის ჩათვლით ანუ შვიდი თვის განმავლობაში, მზის ერთი სხივიც ვერ აღწევს. ხუთწლიანი დებატების შემდეგ, ქალაქის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, დაეფინანსებინა სამი გიგანტური სარკე-ჰელიოსტატი და ისინი მთის წვერზე განელაგებინა. შედეგად, ოქტომბერში, რიუკანის მთავარ მოედანზე მზის სხივები აკიაფდა. არადა, ჯერ კიდევ საუკუნის წინ ადგილობრივი მუშა აცხადებდა, რომ მზის შუქის მისაღებად მთაზე სარკეები უნდა დაედგათ, მაგრამ მაშინ ხელისუფლებამ იდეა დაიწუნა.

## წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 5 | 1 | 2 | 8 | 4 | 3 | 6 | 7 |
| 2 | 8 | 4 | 3 | 7 | 6 | 1 | 9 | 5 |
| 6 | 7 | 3 | 1 | 9 | 5 | 2 | 8 | 4 |
| 8 | 4 | 9 | 5 | 1 | 3 | 7 | 2 | 6 |
| 1 | 6 | 7 | 9 | 4 | 2 | 8 | 5 | 3 |
| 5 | 3 | 2 | 8 | 6 | 7 | 9 | 4 | 1 |
| 4 | 2 | 8 | 7 | 5 | 1 | 6 | 3 | 9 |
| 3 | 1 | 6 | 4 | 2 | 9 | 5 | 7 | 8 |
| 7 | 9 | 5 | 6 | 3 | 8 | 4 | 1 | 2 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 1 | 3 | 9 | 2 | 7 | 6 | 5 | 4 |
| 4 | 6 | 5 | 1 | 8 | 3 | 2 | 7 | 9 |
| 9 | 7 | 2 | 6 | 5 | 4 | 3 | 8 | 1 |
| 3 | 9 | 8 | 2 | 1 | 6 | 5 | 4 | 7 |
| 2 | 5 | 7 | 8 | 4 | 9 | 1 | 6 | 3 |
| 1 | 4 | 6 | 3 | 7 | 5 | 9 | 2 | 8 |
| 7 | 2 | 4 | 5 | 3 | 1 | 8 | 9 | 6 |
| 6 | 8 | 1 | 7 | 9 | 2 | 4 | 3 | 5 |
| 5 | 3 | 9 | 4 | 6 | 8 | 7 | 1 | 2 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 4 | 1 | 7 | 8 | 9 | 6 | 3 | 2 |
| 9 | 2 | 3 | 6 | 5 | 4 | 1 | 8 | 7 |
| 8 | 7 | 6 | 3 | 2 | 1 | 9 | 4 | 5 |
| 7 | 5 | 4 | 2 | 3 | 6 | 8 | 9 | 1 |
| 3 | 6 | 2 | 1 | 9 | 8 | 7 | 5 | 4 |
| 1 | 9 | 8 | 5 | 4 | 7 | 3 | 2 | 6 |
| 6 | 8 | 9 | 4 | 1 | 5 | 2 | 7 | 3 |
| 4 | 3 | 7 | 9 | 6 | 2 | 5 | 1 | 8 |
| 2 | 1 | 5 | 8 | 7 | 3 | 4 | 6 | 9 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 1 | 4 | 6 | 3 | 5 | 2 | 8 | 7 |
| 8 | 3 | 7 | 4 | 2 | 1 | 9 | 6 | 5 |
| 2 | 6 | 5 | 9 | 8 | 7 | 4 | 3 | 1 |
| 7 | 9 | 8 | 1 | 6 | 4 | 5 | 2 | 3 |
| 5 | 4 | 1 | 3 | 9 | 2 | 8 | 7 | 6 |
| 3 | 2 | 6 | 5 | 7 | 8 | 1 | 4 | 9 |
| 6 | 5 | 3 | 2 | 4 | 9 | 7 | 1 | 8 |
| 1 | 8 | 2 | 7 | 5 | 6 | 3 | 9 | 4 |
| 4 | 7 | 9 | 8 | 1 | 3 | 6 | 5 | 2 |

მე-13 გვერდი: 1. პოლიგლოტი; 2. პასტელი; 3. პეტარდა; 4. ლალიაშვილი; 5. გაბანა; 6. ანფილადა; 7. ტიტიკაკა; 8. ლაში; 9. არზა; 10. ზარათუშტრა; 11. ბულიტი; 12. ფეტიში; 13. აპარტეიდი; 14. პლატინა; 15. ნენია; 16. ლუპა; 17. დაშნა; 18. ლუკა; 19. არვე; 20. უნია; 21. ტარა; 22. ბოთლი; 23. დაკა; 24. აბიო; 25. პელე; 26. უბე; 27. მკათათვე; 28. ნოემბერი; 29. ტუია; 30. ბოი; 31. „პინკ. ფლოიდი"; 32. შრე; 33. წიგნარა; 34. ეკი; 35. ელევატორი; 36. ამფითეატრი; 37. მატა; 38. კიო; 39. პკე; 40. ედა; 41. შაურმა; 42. „ტეფალი"; 43. აორტა; 44. კარე; 45. ნიამორი; 46. მარტო; 47. ტაფა; 48. მერილ; 49. აგნი; 50. ბლითი; 51. აგრაფია; 52. ალა; 53. ამიგო; 54. ევრო; 55. სოლ; 56. ბლადი; 57. ორე; 58. რინიტი; 59. სერსო; 60. ვეა; 61. ყვითრი; 62. ეირი; 63. ლოლუა; 64. ერგი; 65. აბრაამ; 66. მორტირა; 67. ანუი; 68. დარი; 69. არია; 70. მტლე; 71. რაფია; 72. ინიესტა; 73. სადილი; 74. რადარი; 75. ანი; 76. ნიტი; 77. ხაო; 78. ბაქტრიანი; 79. ტოფუ; 80. იდიია; 81; ური; 82. პირანია; 83. კნუტი; 84. კანი; 85. გინეა; 86. ომი; 87. პეპი.

მე-13 გვერდი: 1. ფრუ; 2. ირი; 3. იორდასალამი; 4. რეტორტა; 5. ავშარა; 6. ამია; 7. ლოუ; 8. იუტა; 9. იპოლიტე; 10. რიფი; 11. კოტორაშვილი; 12. არომატი; 13. ახირება; 14. აორტა; 15. გნომი; 16. ტიუსო; 17. იპრი; 18. აკრი; 19. ასტრახანი; 20. გრაბარი; 21. ატაშე; 22. ტუტანჰამონი; 23. ინა; 24. რუნა; 25. მოა; 26. დიაოხი; 27. რამაზანი; 28. აბანო; 29. მარადონა; 30. აიაზმა; 31. პული; 32. ხაბარდა; 33. ოში; 34. ბეროუზი; 35. ერბო; 36. ლამა; 37. მირეი; 38. ანონა; 39. ურმია; 40. ბაჰრეინი; 41. ბრმა; 42. ზმა; 43. აპისი; 44. ტაბუ; 45. ტრიო; 46. ბზა; 47. კაფე; 48. ალუდა; 49. ენიო; 50. ქააბა; 51. ქაბული; 52. მორი; 53. და; 54. ადამი; 55. არენა; 56. ასი; 57. ანი; 58. ტარანი; 59. კოკარდა; 60. იუდა; 61. ისინდი; 62. ადაჟიო; 63. კობრი; 64. არუე; 65. მარილი; 66. ზნე; 67. ნომი; 68. ამწე.





1. ბეწვის საფარველის პერიოდული ცვლა ცხოველებში
2. საალერსო სიტყვა ქართულში
3. ქვეყანა სამხრეთ ამერიკაში
4. ავეჯის მოძრავი ყუთი
5. საქონლის გატანა საზღვარგარეთ
6. სპარსეთის მეფე
7. საქართ. კომპარტიის ყოფილი გენმდივანი
8. ისტორიული ქალაქი უკრაინაში
9. შოკოლადის ბატონი არაქისით
10. ხმელთაშუა ზღვის განშტოება
11. სოფელი ონის რაიონში
12. ლეილა აბაშიძის კინოროლი
13. ცხენკაცი
14. „შინაური“ მწერი
15. ჯოჯოხეთის ცეცხლი
16. სპორტული ნაწარმის ფირმა
17. ყველაზე მსხვილი თითი
18. პატარა საწნახელი
19. მტკიცე პირობა, აღთქმა
20. რვაკუთხედი
21. ქსოვილ. პატარა კონვერტი
22. გოგოლის პიესა
23. გარეგნული სახე, რომლითაც პიროვნება წარსდგება საზოგადოების წინაშე
24. იგივე თილისმა
25. დედამიწ. მთვარის ორბიტის უახლოესი წერტილი
26. ქსელის მთავარი კომპიუტერი
27. მსახიობი ჯუდ ...
28. კომპიუტერული ინდუსტრიის წამყვანი ფიგურა და გამომგონებელი
29. რაიმე საბუთის მეორე პირი
30. იაპონელი სამხედრო
31. ქვეყნის ტერიტორია, რომელიც გარშემორტყმულია მეორე ქვეყნის ტერიტორიით
32. ყოფილი კამერუნელი მეკარე
33. ქვეყანა აფრიკაში
34. საერთო ევროპული ვალუტა
35. სასტუმროს მსახური ბიჭი
36. ესპანელი პოეტი
37. მექსიკური მცენარე
38. კათოლიკური წირვა
39. ჩინური მსუბუქი იალქნიანი გემი
40. აინშტაინის მშობლიური ქალაქი
41. ყინული ინგლისურად
42. გვერდას მეგობარი
43. საქართველოს დედოფალი
44. პირამიდების ქალაქი ეგვიპტეში
45. მსოფლიოში ყველაზე მსხვილი კოლუმბიელი ნარკობარონი
46. რუსული მცირელიტრ. ავტომობ.
47. ტოლსტოის „... კარენინა“
48. ბოთლის საცობის მასალა
49. ქმრის და
50. აბრაამის მამა
51. მომღერალი ... ჯონსი
52. ხისძირიანი ფეხსაცმელი
53. თაგვის „ბინა“
54. მოსევადების ტექნიკის სახეობა
55. ყვავილთა მეფე
56. მოწონების გამომხატ. შორისდებული
57. ბელორუსიის დედაქალაქი
58. ბილიარდის სათამაშო ჯოხი
59. მთიანი მხარე რუსეთში
60. ძვ. ფრანგული სიგრძის საზომი
61. ნაკურთხი წყალი
62. აშშ-ის ტელეპრემია
63. მუსიკალური გამის მე-3 ნოტი
64. ყველაზე დიდი ანტილოპა
65. შხამიანი ბუჩქი





ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

**ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ**


## შენდემა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის სავანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

**ზარის ღირებულება 1 ლარი**

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205. გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი). სს „კორ სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/6 1123598

**უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!**


**Appraisal.llc**

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

**უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას**

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com



# ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, რუსუდან შელია, დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699



დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.